

ჩვენი რაფორმირების გზაზე:

ლეგალიზმიდან ღირებულებებზე
ორიენტირებულ ისლამურ სამართლამდე
და იურისპრუდენციამდე

TOWARD *our* *Reformation* • FROM LEGALISM *to* VALUE-ORIENTED ISLAMIC LAW *and* JURISPRUDENCE



Mohammad Omar Farooq

იასი-ს წიგნების სერია

ჩვენი რეზორმირების გზაზე

ლეგალიზმიდან ლირებულებებზე ორიენტირებულ
ისლამურ სამართლამდე და იურისპრუდენციამდე

მუკამეად ომარ ფარუკი



International Institute
of Islamic Thought



გამოშენების სამსახური „ანივერსალი“
თბილისი 2023

ჩვენი რეფორმირების გზაზე: ლეგალიზმიდან
ლირებულებებზე ორიენტირებულ ისლამურ
სამართლამდე და იურისპრუდენციამდე (Georgian)
მუჰამმად ამარ ფარუკი
იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია

© ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (იასი),
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი
1444ჰ/2023

Paperback ISBN: 978-9941-33-445-0

Toward Our Reformation: From Legalism to Value-Oriented Islamic Law and Jurisprudence (Georgian)

Mohammad Omar Farooq

IIIT Books- In-Brief Series

© The International Institute of Islamic Thought, (IIIT)
1437AH/2015CE

Paperback ISBN: 978-1-56564-674-2

IIIT

P.O. Box 669,
Herndon, VA, 20172, USA
www.iiit.org

ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან არახამიამ
თარგმანის თეოლოგიური რედაქტორი: ტარიელ ნაკაძე
ფილოლოგიური რედაქტორი: ია ძირკვაძე
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი ც.დადიანი №7 ბიზნეს და სავაჭრო ცენტრი ქარ-
გასლა A-508
ikiacademy.org

პუბლიკაცია მომზადებულია გ. წერთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-
სტიტუტთან თანამშრომლობით
საავტორო უფლება დაცულია. სავალდებულო გამონაკლისებისა და შესაბა-
მისი კოლექტიური ლიცენზირების შესახებ შეთანხმების დებულებებიდან
გამომდინარე, არცერთი ნაწილის გამრავლება არ შეიძლება მოხდეს გამომ-
ცემლების წერილობითი წებართვის გარეშე.
წინამდებარე ნაშრომში გამოხატული შეხედულებები და აზრები ეკუთვნის
ავტორს და შეიძლება არ ემთხვეოდეს გამომცემლის მოსაზრებებს.

გამომცემლობა „კენვარსალი“, 2023

იასი-ს წიგნების სერია

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის მიერ მომზადებული საკვანძო პუბლიკაციების ამსახველ ღირებულ კოლექციას, რომელიც ორიგინალის, სრული ტექსტის, მკითხველი საზოგადოებისთვის მარტივად აღქმის მიზნით შემოკლებული ფორმითაა დაწერილი. აღნიშნული ნაშრომი, დროის დაზოგვის მიზნით, წარმოდგენილია რა შემოკლებული ფორმით და ადვილად წასაკითხი სახით დროს დაზოგვის მიზნით, ეს თანდართული სინოპსისები გვთავაზობს უფრო სრული პუბლიკაციების ყურადღებით დაწერილ დეტალურ მიმოხილვას იმ იმედით, რომ ის მკითხველს ორიგინალის გაცნობის ინტერესს აღუძრავს.

ნაშრომში „ჩვენი რეფორმირების გზაზე“, ავტორი ამტკიცებს, რომ მუსლიმთა სირთულეების მთავარ მიზეზს მათი უმეცრება ან/და არსებითი ისლამური ღირებულებების მიმართ ვალდებულების გათავისების და მხარდაჭერის არარსებობა წარმოადგენს. მუპამმად ომარ ფარუკი აქტიურად უწევს რეკომენდაციას ე.წ. „ღირებულებებზე ორიენტირებული“ მიდგომის პრაქტიკაში დაბრუნებას. ჩვენ ვიგებთ, რომ შარიათი რეალურად მთავარ საყრდენს წარმოადგენს, რომელიც დროთა განმავლობაში მეცნიერული შეხედულებებისა და ვარაუდების (დასკვნების) ლაბირინთების სუდარაში გაეხვა,

რაც რეალურად მუსლიმთა განვითარების შეკავებას ემ-სახურება. ის ამტკიცებს, რომ საეჭვო ჰადისზე დაყ-რდნობითა და „ჰუდუდის სამართლის“¹ მცდარი იმპლე-მენტაციით ყურანისა და მუჰამად შუამავლის (ს.ა.ს)² გზავნილის მთავარ არსა ვლალატობთ. შედეგი კი მუს-ლიმთა აშკარა შეურაცხყოფაა. ავტორი სწორედ „ჰუდუდის სამართლის“ არასწორ გამოყენებასა და, შე-საბამისად, შერყვნას იკვლევს.

წიგნი ხუთი თავისგან შედგება. შესავალი პირველი თავის შემდეგ, მეორე თავი ფოკუსირებულია შარიათზე და იკვლევს ლეგალიზმისკენ მიღრეკილებისა და აღნიშ-ნული ტერმინის შესახებ არსებულ არასწორ ვარაუდებ-თან დაკავშირებულ საკითხებს. მესამე თავი ძირითად ყურადღებას ჰადისებს უთმობს, განიხილავს რა რიგ სა-სიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებს და შეჯამების სახით ხდება იმ პრობლემების წარმოჩენა, რომლებიც კანონების შემუშავებისა და მათი ფორმირების პროცეს-ში ჰადისების არასწორ გამოყენებას ეხება. მეოთხე თავი „იჯმა“³ საკითხს ეძლვნება, რომელშიც მის შესახებ არ-სებული მოსაზრებების უმრავლესობა დაუსაბუთებლად

1. حدود : არაბული სიტყვა და მომდინარეობს ფუძიდან და -ისგან, რაც ნიშნავს ზღვრს, ზღუდეს, საზღვარს. ისლამის სამართალში არის დასჯის მეთოდი, რომელიც ითვლება ღმერთის მიერ განსაზღვრულ წესად, თუმცა ის საკამათოდ იქცა ისლამის ისტორიაის სხვადასხვა ეპოქაში

2. ﷺ: صلی اللہ علیہ وسلم (پاლლاد ლლه کے ‘اللہ اکی گا سا لللاہ) ქართულად: ალლაჰის ლლوცვა და მშვიდობა მას, ეს არის ისლამური თეოლოგიური ფორმულა, რომელიც გამოიყენება, როცა წმინდა მუჰამად შუამავლის სახელი „მუჰამადი“ იქნება ნახსენები.

და არარელევანტურად არის შეფასებული, „იჯმა‘ს“, როგორც ისლამური იურისპრუდენციის წყაროს, ფაქტობრივად ყველა ასპექტის თაობაზე კონსენსუსის მუდმივი არარსებობის გამო. მეხუთე თავში, „კიდასის“ შესახებ, განხილულია ისლამური სამართლის გავრცელების მიზნით აღნიშნული ინსტრუმენტის არასწორ გამოყენებასთან დაკავშირებული არაერთი კონცეპტუალური პრობლემა. ბოლოს, მეექვსე თავი ხაზს უსვამს ემპირიული საფუძვლის არსებობის გადაუდებელ აუცილებლობას, რათა კიდევ ერთხელ დაცული იყოს ბალანსი ისლამურ სამართალთან. ბალანსში კი ის იგულისხმება, რომ ტექსტის შინაარსი სწორად უნდა მიესადაგებოდეს ცხოვრების სტილს თანამედროვე მნიშვნელობით. ავტორი განმარტავს, რომ ისლამური სამყარო ვერ შეიცვლება, მანამ სანამ არ შეიცვლება ისლამური აზროვნებისა და ისლამის ძირითადი წყაროების აღქმა.

მუჰამმად ომარ ფარუკის ორიგინალი ტექსტის ადაპტირებული გამოცემა ჩვენი რეფორმირების გზაზე: ლეგალიზმიდან ლირებულებებზე ორიენტირებულ ისლამურ სამართლამდე და იურისპრუდენციამდე

ISBN hbk: 978-1-56564-372-7

ISBN pbk: 978-1-56564-371-0

2011

თავი პირველი

შესავალი

ადამიანებს სურთ, მაქსიმალურად ზუსტად იყვნენ ინფორმირებული ფაქტობრივად ყველაფერზე, რაც მათ აინტერესებთ. ისლამი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს იმას, რომ მისი მიმდევრები ინფორმირებული, განათლებული, გამჭრიახი და გონიერი იყვნენ. ისლამი მორწმუნებისგან კრიტიკული ანალიზის უნარს მოითხოვს, ნაცვლად გაუცნობიერებელი და აზრსმოკლებული მიმდევრობისა. გარდა ამისა, ის კატეგორიულად უარყოფს მათ, ვინც გაუაზრებლად მისდევს წინაპრების ნაკვალევს და ბრმად ბაძავს მათ იმაში, რასაც აკეთებს ან პრაქტიკაში ახორციელებს, ყოველგვარი ცოდნისა და გაცნობიერების გარეშე. ყურანიც უპირობოდ ადასტურებს, რომ ჭეშმარიტ რწმენას წინ უნდა უძლვოდეს ან ის უნდა ეფუძნებოდეს ცოდნასა და აღქმას. მუჰამად (ს.ა.ს) შუამავლის მოძლვოებაც მეტად მკაფიოა აღნიშნულთან დაკავშირებით, ხაზს უსვამს რა ცოდნის ძიების მნიშვნელობას. მართლაც ყველა იმ საკითხს შორის, რომელიც მუსლიმთათვის სავალდებულოდ მიიჩნევა (ფარდ ან ვარჯიშ), ცოდნის ძიება და განათლების მიღება სწორედ ის საკითხებია, რომელთათვისაც სიტყვა „ფარდ“ სპეციალურად იქნა გამოყენებული.

განათლებულ მუსლიმთა უმეტესობამ იცის, რომ ისლამური სამართლის ფუძემდებლური წყაროები, პირველ რიგში, ოთხია: ყურანი, ჰადისები (მუჰამად შუამავლის გადმოცემები), იჯმე' (შეთანხმებული აზრი) და კიდასი (ანალოგით განსჯა). მართლაც, მთელი ისლამური ისტორიის მანძილზე, ჩვენი კეთილშობილი სწავლულები და იურისტები, როგორც ისლამური ტრადიციის ნაწილს, ღიად ეძებდნენ პასუხებს და ადამიანებსაც კითხვების დასმისკენ უბიძგებდნენ.

თუმცა, დროთა განმავლობაში, მეცნიერებმა არა-კომფორტულად მიიჩნიეს თავისუფლად აზროვნება, რაც შემდგომში კიდევ უფრო გამძაფრდა შეზღუდული მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების არსებობის გამო, რაც საუკუნეების განმავლობაში გამოიკვეთა. შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით, ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ისლამური ცივილიზაცია დეკადენტური გახდა. სწორედ მისი დაკნინების პერიოდში, სასტიკი კონკურენციის პირობებში, სადაც და ძალადობრივ გარემოში, დასავლურმა ცივილიზაციამ თანდათანობით დაიწყო დომინირება. დასავლურმა ძალებმა მუსლიმთა, ისევე როგორც დანარჩენი სამყაროს უმოწყალო კოლონიზაცია მოახდინეს, დასავლურმა კანონებმა და კოდექსებმა კი ისლამური სამართლებრივი ინსტიტუციები და სამართლებრივი სისტემები ჩაანაცვლეს და შეავიწროვეს.

ვითარება კიდევ უფრო გააუარესა აღორძინების დაუცხრომელმა სურვილმა, შარიათი მთელს მოსახლეო-

ბაში გაავრცელონ, რომელიც ხშირად არასწორად არის ფორმულირებული ან გაგებული, როგორც ისლამური სამართალი. იმ ქვეყნებშიც კი, რომლებიც კონსტიტუციურად არ ეფუძნება რელიგიურ სამართალს (სხვა სიტყვებით, არ არის თეოკრატიული), ზოგადი კულტურა და სოციალური გარემო კვლავ მუსლიმ მოსახლეობაზე ისლამური სამართლის გავლენაზე დამოკიდებული.

რამდენად პარადოქსულია, რომ მიუხედავად წინა საუკუნეების განმავლობაში ინტელექტუალური მოღვაწეობისა და მიღწევების უდიდესი ღირებულების აღიარებისა, გაუნათლებლობის მაჩვენებელი ისლამურ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია დღევანდელ მსოფლიოში. ფუნდამენტური ცოდნა და ისლამური რწმენის სწორი აღქმა, რომელსაც წესით მუსლიმებმა უნდა მისდომინ, ხელი შეუწყონ და სხვებშიც გაავრცელონ, ნაკლები მნიშვნელობის მატარებელი გახდა. არსებული ვითარების ტრაგიკულობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ რიგითმა მუსლიმებმა ვერ შეძლეს საკუთარ თავში კრიტიკული აზროვნების განვითარება, რომელიც ფიქრისთვის ინტელექტუალურად დისციპლინირებული იქნება, რათა განიხილოს, გამოიკვლიოს, შეაფასოს და განსაჯოს. აღნიშნულ წიგნში განმარტებულია იმ ფუძემდებლურ წყაროებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების შეზღუდვა, რომლებიც ტრადიციულად გამოიყენებოდა.

მიუხედავად იმისა, თუ რა ანარეკლს გვიჩვენებს სარკე ჩვენი რეფორმირების გზაზე (ისლამი), ჩვენ ყო-

ველთვის უნდა გვახსოვდეს შემდეგი: (ა) როგორც ადა-
მიანებს, ჩვენ გვაქვს უზარმაზარი პოტენციალი ჩვენი
ცხოვრების შეცვლისთვის, ყურანი კი მუდმივად გვახსე-
ნებს, რომ ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ ცვლილებე-
ბის განხორციელებაში და ეს ცვლილებები ჩვენი თავი-
დან უნდა დავიწყოთ (ყურანი-13:11); (ბ) ჩვენ უნდა ალ-
ვიჭურვოთ იმ დაბალანსებული და ყოვლისმომცველი წი-
ნამძღოლობით, რომელიც მოცემულია ყურანსა და მუ-
ჰამად შუამავლის მემკვიდრეობაში და რომლითაც შეგ-
ვიძლია ნებისმიერ დაბრკოლება გადავლახოთ ან იმ გა-
მოწვევას ვუპასუხოთ, რომლის წინაშეც აღმოვჩნდებით
და (გ) „ისლამის“ სულისკვეთებით, სამყაროში, რომელ-
შიც ვცხოვრობთ, პოზიტიური ცვლილებების მოხდენის
სურვილი უნდა გვქონდეს.

აღნიშნული წიგნი მიზნად ისახავს, ისლამური პერ-
სპეცივიდან გაუფართოვოს თვალსაწიერი რიგით მუს-
ლიმებს, რათა უკეთ ჩაწვდნენ მათ წინაშე არსებულ სა-
კითხებსა და პრობლემებს, უჩვენოს გზები, რომლები-
თაც ეფექტურად შეუძლიათ დაუკავშირონ საკუთარი
თავი ყურანსა და შუამავლის მემკვიდრეობას, რათა უმ-
მასთვის (ისლამური საზოგადოებისთვის) უკეთესი მომა-
ვალი შექმნან და კაცობრიობას უკეთ ემსახურონ. ამ
წიგნში აღწერილი საკითხები არ იქნა გამოვლენილი მა-
თი პოლემიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე. რეა-
ლურად არსებული პრობლემები და გამოწვევები კი, რო-
მელიც ისლამური სამყაროს წინაშე დგას - სიღარიბე,
შეზღუდვები, გაუნათლებლობა, არასტაბილურობა, ავ-
ტორიტარიზმი, ექსპლუატაცია, უსამართლობა, ეკონო-

მიკური უთანასწორობა, ძალადობა, ადამიანის უფლება-თა დარღვევები, ტექნოლოგიური და ეკონომიკური ჩა-მორჩენილობა, დასავლეთზე დამოკიდებულება და სხვ. - ნამდვილად არ ქმნის სასურველ სურათს. თუმცა, თუკი არსებობს განმაპირობებელი მიზეზი, შესაბამისად არსებობს მისი გადაჭრის გზაც.

როგორც ისლამური სამართლისა და იურისპრუდენციის დამოუკიდებელი კვლევის პროდუქტი, ის წარსულის გამოცდილებით გამდიდრებულ ხედვას გვთავაზობს, რომელიც პატივს მიაგებს საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ ცოდნასა და სიბრძნეს, ისევე, როგორც მიზნად ისახავს, იყოს შორსმჭვრეტელი იმ დისკუსიის გამოწვევაში, რომელიც უკეთეს მომავალს ჩაუყრის საფუძველს.

თავი მეორე

შარიათი, სამართალი და ყურანი:

**ლეგალიზმი ღირებულებებზე ორიენტირებულობის
წინააღმდეგ**

ეჭვგარეშეა, რომ ჭეშმარიტი შარიათი (როგორც ყურანისა და შუამავლის მიერაა დადგენილი და მისი კომპანიონების მიერ აღქმული) დღესდღეობით, ფაქტობრივად, ჩაკარგულია სქოლასტიკური შეხედულებებისა და დასკვნების ლაბირინთში - საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი სუბიექტური

შეხედულებების ზესტრუქტურაში, რომელიც ფიქტიური „ქა-ლაუფლების“ სამისშია გახვეული.³

არსებობს კი ჭეშმარიტი შარიათი, როგორც ამას მუჰამმად ასადი ამტკიცებს ზემოხსნებულ ციტატაში? შარიათი აღქმა და სწრაფვა ლეგალიზმისკენ სწორედ ის ასპექტებია, რომლებიც განხილული და გამოკვლეული იქნება ქვემოთ, რომელსაც ლირებულებებზე ორიენტი-რებულობის მნიშვნელობის შესახებ დისკუსია და აღნიშ-ნულთან დაკავშირებული საკვანძო პრინციპების გან-ხილვა მოსდევს. დღესდღეობით ადამიანთა ცივილიზა-ციის ცენტრმა ისლამური სამყაროდან მთლიანად დასავ-ლეთისკენ გადაინაცვლა. ამავდროულად არაერთი სა-ხელმწიფო,⁴ რომელშიც მოსახლეობის უმეტესობას მუს-ლიმები წარმოადგენენ, ტრადიციული ისლამისკენ იხრე-ბა შარიათის დანერგვისა და გამოყენების გზით. რაც უფრო მეტად იხრება ქვეყანა ამ გზისკენ, მით უფრო მეტ შიშსა და შფოთს იწვევს ეს არა მხოლოდ დასავ-ლეთში, არამედ შეგნებულ მუსლიმებშიც მთელი მსოფ-ლიოს მასშტაბით. გარდა ამისა, ბევრი მუსლიმი მთელ ისლამურ სამყაროსა და დასავლეთში, საკმაოდ იმედ-გაცრუებული, მოუთმენელი ან აღელვებულიც კი ჩანს. აღნიშნული შეცვლილი გარემოებების გათვალისწინე-

³. M. Asad, *This Law of Ours and Other Essays* (Gibraltar: Dar Al-Andalus, 1987), p.28.

⁴. პლურალისტური ნორმით და ისლამის მემკვიდრეობით, ისე როგორც მედინის „ქარტიაშია“, მუამავლის ხელმძღვანელობით ფორმულირებული, ნაცვლად სახელმწიფოს იდენტიფიცირება როგორც „მუსლიმური ქვეყანა“, უმჯობესია ტერმინი „მუსლიმ უმრავლესობიანი ქვეყანა“

ბით, არსებობს მწვავე საჭიროება, დაისვას კითხვა, რას ნიშნავს ეს ყველაფერი და რა გავლენა აქვს ჩვენს თანა-მედროვეობაზე იმას, თუ როგორ იქნება აღქმული და გამოყენებული შარიათი.

კონცეფცია შეიძლება დამახინჯდეს არასწორი აღ-ქმის, გაგების, არასწორი ან ბოროტად გამოყენების გზით. შარიათის დამახინჯება უმეტესად მისი ნაწილობ-რივ და დისკრიმინაციულ გამოყენებასთან ასოცირების გზით მოხდა დიქტატორული, ავტორიტარული ან მემ-კვიდრეობითი მმართველობის პირობებში, როდესაც შა-რიათი ხშირად ჩვეულებრივი, ძირითადად ლარიბი მო-სახლეობის წინააღმდეგ გამოიყენებოდა მაშინ, როდე-საც ძალაუფლების მატარებელი ან გავლენიანი პირები მკაცრი სასჯელებისგან იმუნიტეტით სარგებლობენ. შა-რიათის პროექტები უმეტესად „ჰუდუდის სასჯელების“ შემოღებასა და გამოყენებას ნიშნავდა, რაც მიზნად ისა-ხავდა შარიათის სამართლის ყურანსა და სუნაში გან-საზღვრული სასჯელების დაწესების გზით იმპლემენტა-ციას. რეალურად, ეს სიცრუე და იმ სამართლიანობის სულისკვეთების უხეში დარღვევაა, რომლის არსებობა-საც ისლამი მოითხოვს. აღნიშნულის მტკიცებულება „ჰუდუდის დადგენილებაა“, რომელიც მრუშობის დასას-ჯელად იქნა მიღებული და რიგ შემთხვევებში ისეთ მძი-მე შედეგებამდე მივიდა, როგორიცაა ცოლ-ქმრული ლა-ლატისთვის უკიდურესად ხანგრძლივი პერიოდით თავი-

სუფლების აღკვეთა, რომელსაც სხვაგვარი დასჯის, მათ შორის სიკვდილით დასჯის შესაძლებლობაც ახლდა.⁵

თუმცა, გამოსავალი არა ამ ტერმინის ან ცნების სრულად უარყოფაში მდგომარეობს, არამედ იმაში, რომ უნდა მოხდეს მისი გაურკვევლობისგან გათავისუფლება, გაუგებრობების განმარტება და იმის უზრუნველყოფა, რომ რწმენის პრაქტიკაში გადმოტანა გონივრულად და კეთილსინდისიერად შეესაბამებოდეს გაცხადებულ იდეა-ლებს. ამ თავის მთავარი იდეა სწორედ ის არის, რომ ისლამთან და შარიათთან დაკავშირებული ფუნდამენტური გაუგებრობის არსებობა დაგვანახოს. ასევე წარმოდგენილია შარიათთან დაკავშირებით რიგი ახსნა-განმარტებები, რომელიც მჭიდრო კავშირშია თანამედროვე პრობლემებთან.

ფართოდ აღიარებული მკვლევარები, რომლებიც ისლამური აზროვნების ტრანსფორმაციას უჭერენ მხარს, სამოქალაქო პირებთან, უურნალისტებთან და დემაგოგებთან ერთად, ხშირად აიგივებენ შარიათს ისლამურ სამართალთან. აღნიშნულის მიზეზი ისაა, რომ ძალიან ხშირად ადამიანების ძალისხმევა მათი თანამედროვე აღქმის ანარეკლია, მიუხედავად იმისა, თუ როგო-

⁵. For pertinent information and analysis of this unislamic and inhuman experience, see M. O. Farooq, "Rape and Hudood Ordinance: Perversions of Justice in the Name of Islam," (2006), <http://www.islamicity.com/articles/Articles.asp?ref=IC612-3179>. [Accessed on June 21, 2007]; A. Quraishi, "Her Honor: An Islamic Critique of the Rape Laws of Pakistan from a Woman-Sensitive Perspective," Michigan Journal of International Law (18) (1997), pp.287-320; A. Jahangir and H. Jilani, *The Hudood Ordinance* (Lahore, Pakistan: Rhotus Books, 1990).

რი იყო წარსულში მათი ფორმულირება. კიდევ ერთი მიზეზი ისაა, რომ კლასიკური ისლამური დისკურსის გვიანდელ პერიოდში, ტერმინი „შარიათი“ განმარტების გარეშე გამოიყენებოდა, ივარაუდებოდა რა, რომ ტერმინი ნაცნობი და გასაგებია. მიუხედავად იმისა, რომ მისი განმარტების ცნება კლასიკური დისკურსის საწყის ეტაპზე არ არსებობდა, ტერმინი „შარიათის“ ფართოდ გამოყენება მხოლოდ თანამედროვე ეპოქაში დაიწყო.

შარიათი ხშირად ღვთიურად მიიჩნევა. მერიემ-ვებ-სტერის ლექსიკონის მიხედვით, სიტყვა „ღვთიურის“ მნიშვნელობაა „ღმერთის, ღმერთთან დაკავშირებული ან პირდაპირ ღმერთისგან მომდინარე.“⁶ ამიტომ, კითხვა შემდეგი სახისაა - არის კი შარიათი ისეთი რამ, რაც პირდაპირ ღმერთისგან მომდინარეობს? პასუხი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ განისაზღვრება „შარიათის“ ფარგლები. თუკი შარიათი ისლამურ სამართალს (ფიქ-ჰის) უტოლდება, ის ვერ იქნება მიჩნეული ღვთაებრივად.⁶ ფიქჰი, ისლამური სამართალი, პირველ რიგში, უმეტესად ადამიანის შემოქმედებაა. მიუხედავად იმისა, რომ „უსტული“-ს (წყაროების მეთოდოლოგიები) მიხედვით, ყურანი საღვთოა, სხვა წყაროები - ჰადისები, იჯმა (ერთსულოვანი აზრი) და კიდასი (ანალოგიებით მსჯელობა) არ არის საღვთო. მაშასადამე, იქიდან გამომდინარე, რომ შარიათი უმეტესად გამოიყენება იქ, სადაც კანონთა დეტალები არა ღვთაებრივი წარმომავ-

⁶. Merriam-Webster Dictionary, <http://www.m-w.com/dictionary/divine>. [Accessed November 29, 2006].

ლობის, არამედ ნაკლებად წმინდა (ჰადისი)⁷ და ადამიანისგან მომდინარე (იჯმა' და კიდასი) წყაროებიდანაა წარმოშობილი - ის არ არის ღვთაებრივი.

ხშირად მიიჩნევა, რომ შარიათი უცვლელია. თუმცა ასეთი მტკიცებები უბრალოდ აზრს მოკლებული, ემოციური და გაუმართლებელი განაცხადებია. მსგავსი გაგება ასახვას შარიათის, როგორც თეოლოგიური დოგმებისა და სამართლებრივი კოდექსების მეცნრი კომპლექტის ისტორიულ განვითარებაში ჰპოვებს. შარიათი არ არის უცვლელი, ვინაიდან მისი სხვადასხვა ვარიაცია ჩამოყალიბდა სხვადასხვა შუამავალის მიერ, როგორებიც არიან იესო, მოსე და მუჰამადი. მაშინ, როცა არაერთმა ტრადიციონალისტმა შარიათი წმინდა საფეხურზე აიყვანა და მას ფაქტობრივად შეუცვლელად მიიჩნევენ, არაერთმა მუსლიმმა იურისტმა საპირისპიროდ აღიარა, რომ მისი დიდი ნაწილი ცვალებადია გარემოებებისა და სიტუაციების გათვალისწინებით შემდეგი პრინციპის თანახმად: „წესები იცვლება დროისა და ადგილის შესაბამისად.“⁸

^{7.} ჩვენ მაქსიმალურად ყურადღებით უნდა ვიყოთ ისეთი ტერმინების გამოყენებისას როგორიცაა ღვთიური და კრისტალურად სუფთა, თუ რას ნიშნავს პრაქტიკულად და რას ეხება იგი. შუამავლის ტრადიციას შეუძლებელია მიენიჭოს ყურანის უდავო ავთენტურობა. ყურანი ერთადერთი უნიკალურია და არა სხვა რამესთან თანაარსებული.

^{8.} არაბული ორიგინალი, Taghayyur al-Ahkam bi Taghayyur al-Zaman wa al-Makan. M. Zahraa, "Characteristic Features of Islamic Law: Perceptions and Misconceptions," Arab Law Quarterly 15 (2) (2000), pp.168–196, quoting Ibn al-Qayyim al-Jawziyyah, I'lam al-Muwaqqi'in 'an Rabb al-'lamin (Beirut: Al-Maktabah al-'Asriyyah, 1987), vol. 3, pp.14–70.

ხშირად მიიჩნევა, რომ შარიათი იგივეა, რაც ისლამი და ცხოვრების ყველა ასპექტის წარმართველი კოდექსია. არაერთმა მეცნიერმა ისლამი სწორედ „ცხოვრების სრულ კოდექსად“ წარმოაჩინა, ივარაუდა რა, რომ მას ცხოვრების სრული სპექტრისთვის აქვს მითითებები და ნებისმიერი საკითხისთვის, სიტუაციისა თუ პრობლემისთვის მოიძებნება გამოსავალი. ასევე ივარაუდება, რომ ვინაიდან ისლამი თვითკმარი და დამოუკიდებელი ცხოვრების გზაა, მუსლიმებმა პასუხები სხვაგან არ უნდა ეძებონ. თუმცა, ისლამი არ წარმოადგენს ყველა იმ თანამედროვე საკითხისა თუ პრობლემისთვის სახელმძღვანელოს, რომელთა წინაშეც შესაძლოა მუსლიმები აღმოჩდნენ. თავისთავად ცხადია, რომ თუკი ყველა პრობლემა და გადაჭრის გზა ცნობილი და მარტივად იდენტიფიცირებადი იყო, ისლამური სამყარო არ აღმოჩნდებოდა ასეთ შესაბრალის და სავალალო მდგომარეობაში. ისლამური აზროვნებისთვის მთავარი ხაფანგი მისი საღვთო ტექსტებზე მაღალი ხარისხით დამოკიდებულებაა. ამგვარმა ხისტმა მიდგომამ მიიყვანა ისლამური აზროვნება სტერილურობამდე და სტაგნაციამდე. ისლამი არ წააგავს ლექსიკონს; ის უფრო ანბანს (ენის სამშენებლო ბლოკები) ჰგავს. ბევრი სიტყვის მოძიება ლექსიკონშია შესაძლებელი, ხოლო ის სიტყვები, რომლებიც ჯერ არ ჩამოყალიბებულა, ანბანს დაეფუძნება.

შარიათს ხშირად ურევენ „სამართალში.“ უფრო მეტიც, ტოლობის ნიშანი, რომელიც შარიათსა და ისლა-

მურ სამართალს შორის ისმება, ისლამთან დაკავშირებულ ძირეულ შეცდომას წარმოადგენს და დაბნეულობას იწვევს. თუკი, როგორც ამბობენ, შარიათი ცხოვრების ყველა ასპექტს მოიცავს, მაშინ ცხადი ხდება, რომ ის სრულად სამართალთან ვერ იქნება კავშირში. მაგალითად, განბანება, ლოცვა, მარხვა და სხვ. სულაც არ წარმოადგენს სამართლებრივ საკითხებს. შესაბამისად, ისლამური მიწერილობების ყველა ასპექტის სამართალთან დაკავშირება ისლამთან შეუსაბამოა. მიუხედავად იმისა, რომ ყურანის აიების მხოლოდ მცირე ნაწილი არეგულირებს სამართლებრივ საკითხებს, იურიდიული ტენდენციები მაინც ახერხებს ყურანის კანონების წყებამდე დაყვანას. ყველაფრის სამართალთან დაკავშირება კი ცხოვრებას სისასტიკის მძიმე ტვირთს აკისრებს, რაც კაცობრიობის „ფიტრასთან“ (ადამიანის თანდაყოლილი ბუნება) შეუსაბამოა. ყურანი მორწმუნებს მოუწოდებს, თავიდან აირიდონ მძიმე ცოდვები (ქაბბ'ირ). რა თქმაუნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ღმერთის მიმდევრებმა სხვა ცოდვები მსუბუქად უნდა მიიჩნიონ, თუმცა ყველაფერი მარტივ სამართლებრივ საკითხადაც არ უნდა ჩაითვალოს.

შარიათი ხშირად მისი სრული სპექტრით, ყოველგვარი განსხვავებების გარეშე გამოიყენება, რომელიც მაგალითად, ლოცვასა და დანაშაულს შორის არსებობს. შარიათის იმპლემენტაცია, როგორც წესი, მოქმედი კანონების კონტექსტში განიხილება. მართლაც, ამგვარი იმპლემენტაციის ყველაზე აშკარა გამოვლინება სწორედ „ჰუდუდის“ სახელით ცნობილი სისხლის სამართლის კო-

დექსების „აღსრულებაა“ - „ჰუდუდი“ ყურანში განსაზღვრული გარკვეული დანაშაულებისთვის (მკვლელობა, მრუმობა, ქურდობა და სხვ.) განსაზღვრული სპეციფიკური სასჯელებია. როგორც ზემოთაც აღინიშნა, შარიათის ისლამურ სამართალთან გაიგივება შეცდომაა, ვინაიდან ისლამი არა მხოლოდ სამართლით, არამედ ლირებულებებით, პრინციპებით, რიტუალებით და სხვ. ხელმძღვანელობს. შესაბამისად, ისლამის ყველა ასპექტის განხორციელება ადამიანის ძალაუფლებით ვერ იქნება უზრუნველყოფილი. ღმერთი არ არის დაინტერესებული, მაგალითად, ლოცვისა და მარხვის დარეგულირებით ან საზოგადოების პოლიციურ სახელმწიფოდ ქცევით, რათა ზემოხსენებული ქმედებების განხორციელება უზრუნველყოს. შუამავლის ფუნქცია მხოლოდ გზავნილის გადმოცემა იყო. და მართლაც, თუ ის არ წარმოადგენს ადამიანების საქმეების განმკარგველს (მუსაფ़ირ), მისი მიმდევრები მით უმეტეს არ არიან უფლებამოსილი უფრო ფართო მასშტაბის ვალდებულებების შესრულება იკისრონ.

ხშირად ივარაუდება, რომ შარიათი ცხოვრების სრული სპექტრისთვის ნათელ და ცხად მითითებებს მოიცავს. ეს გამარტივებული ხედვაა. საკითხებში, რომებიც აკრძალვებს ეხება, ყურანი მკაფიო და კატეგორიულია. მიუხედავად ამისა, მისი მიწერილობების შესრულება არც ისე მარტივია, თუკი პირი პირდაპირ მიდგომას არ აირჩევს, რომელიც ხშირად სწორედ ისლამის მიზნის (მაკასიდის) საპირისპირო შედეგს იძლევა. განვიხილოთ შემდეგი მაგალითები. პაკისტანში ჰუდუდის კანონები,

რომლებიც სამხედრო დიქტატორის მიერ იქნა მიღებული, რაც გაუპატიურების მსხვერპლი არაერთი ქალის დაპატიმრებისა და თავისუფლების აღკვეთისთვის იქნა გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ ქალები სასტიკი დანაშაულის საბრალო მსხვერპლი იყვნენ, ათობით მათგანი ამ დანაშაულებში მათი მონაწილეობისთვის, შარიათის ამ ვერსიით, ციხეში იქნა გამოკეტილი და პასუხისმგებლობაში მიეცა.⁹

კიდევ ერთი მაგალითი ისლამურ საზოგადოებებში მამაკაცის ცოლთან ცალმხრივი, თვითნებური, დაურეგულირებელი განქორწინების უფლებაა სამგზის „ტალპის“ (განქორწინების) ზედიზედ წარმოთქმის გზით, რასაც ხშირად ცოლის საკუთარი სახლიდან გაგდება მოჰყვება. მეორე მხრივ, ყურანით განსაზღვრული განქორწინების პროცესი მეტად გონივრული, დაბალანსებული და სენსიტიურია იმ ფაქტორების მიმართ, რომელიც ორივე მეუღლეს ეხება. თუმცა, შარიათის ამგვარმა უხეშმა გამოყენებამ (რომელიც არეულია ისლამურ სამართალთან) განამტკიცა ამ სახის არაისლამური პრაქტიკა. მიუხედავად ამისა, ისლამური აზროვნების სკოლების უმეტესობამ ამ სახის პრაქტიკა ლეგალიზმის გავლენით გაამყარა.

ლეგალიზმი შესაძლოა გაგებულ იქნეს, როგორც კანონების, ქცევის კოდექსების ან სამართლებრივი იდე-

⁹. M. O. Farooq, “Rape and Hudood Ordinance: Perversions of Justice in the Name of Islam” (2006).

ების მკაცრი ფიქსაცია ამ იდეების ღმერთის წყალობასა და მადლთან დაბალანსების გარეშე. საუკუნეების განმავლობაში, შუამავლის ეპოქის შემდეგ, ისლამური საზოგადოებები ღეგალიზმისკენ მიიღოტვოდნენ, დაჰყავდათ რა ყველაფერი შავზე და თეთრზე, სწორზე და არასწორზე ან დასაშვებსა და დაუშვებელზე. ღეგალიზმი ადამიანებს თვითდაჯერებულს ხდის, ხოლო საკუთარი მოძმეების მიმართ სუბიექტურ დამოკიდებულებას წარმოშობს. ღეგალიზმი ისეთ გარემოს ქმნის, რომელშიც ადამიანებს მუდმივად აწუხებთ არასრულფასოვნება, რაც კულმინაციას ცხოვრების უწვრილმანესი დეტალების გაკონტროლების მცდელობაში აღწევს. თუმცა, ღმერთის მიზანი არ არის, რომ სამყარო სრულყოფილების ადგილი იყოს. უფრო მნიშვნელოვანი ადამიანური კავშირებისა და შემოქმედთან მათი დაკავშირების ხელშეწყობაა.

ყურანი მხოლოდ რამდენიმე სამართლებრივ აკრძალვას გამოყოფს და გაცილებით მეტი რაოდენობით გვთავაზობს მიწერილობებს. რადგან შუამავალი ღირებულებებზე ორიენტირებულობას უჭერდა მხარს, არსებობდა არა მკაცრი ღეგალიზმი, არამედ სამართალი, შესაბამისად, ისლამი არ წარმოადგენს ექსკლუზიურად ტექსტზე ორიენტირებულ მრწამს. დისკურსმა, რომელიც ისლამურ იურისპრუდენციას მოიცავს, უკვე გამოსცადა ღირებულებებზე ორიენტირებულობის საჭიროება. მსგავსი საჭიროება კი ღიტერატურაში „მაკასიდ აშ-შარი‘ა“ მოიცავს (შარიათის დიდ მიზნებს), რომელიც „დინის“ (რწმენა; რელიგია), სიცოცხლის (ნაფს), ოჯახის

სისტემის (ნასლ), ინტელექტის ('აკლ), სიმდიდრისა და საკუთრების (მალ) დაცვასა და შენარჩუნებას ისახავს მიზნად.¹⁰

ღირებულებებზე ორიენტირებული ხედვა კი, რომელიც აღნიშნულ ნაშრომშია მხარდაჭერილი, უფრო მეტად ნიუანსირებულია. ზოგი სწორედ „მაკაპსიდს“ მიიჩნევს ღირებულებების წარმომჩენად. თუმცა, ტრადიციული „მაკაპსიდის“ იერარქია სხვა ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა სიცოცხლე, ოჯახი, ინტელექტი და საკუთრება, რწმენას უქვემდებარებს. გარდა ამისა, იჯთიპადის მთავარი სახეობები, რომლებიც ღირებულებებზე ორიენტირებულ იურისპრუდენციასაც მოიცავს, ტექსტზე ორიენტირებულ მიდგომას ეფუძნება. შესაბამისად, სწორედ ყურანში განმტკიცებული და შუამავლის მემკვიდრეობით შთაგონებული თვითკრიტიკული შეფასების, შემოქმედებითი და კონსტრუქციული ინტელექტუალური განახლების, მორალური და რელიგიური სიცხადის, რომელიც მარტივი და ამასთანავე ნათელია, დინამიკური პრობლემების გადაჭრის გზისა და ღირებულებებზე ორიენტირებული მიდგომის მეშვეობით შეძლებენ მუსლიმები საკუთარი თავის, მთელი კაცობრიობისა და კეთილმოსურნე ღმერთის წინაშე არსებული ვალდებულებების უკეთ შესრულებას.

¹⁰. I.A.K. Nyazee, Islamic Jurisprudence (Usul al-Fiqh) (Islamabad, Pakistan: Islamic Research Institute, 2000), p.39; also, p.202.

ლირებულებებზე ორიენტირებულობა

საზოგადოების რეალური ხასიათი მისი ლირებულებებისა და პრინციპების ანარეკლია. სამართლებრივი სისტემაც და გარემოც იმ ლირებულებებსა და პრინციპებს ირეკლავს, რომელსაც მოცემული საზოგადოება ატარებს. კანონებისთვის უპირატესი მნიშვნელობის მინიჭებას, ან მათი ლირებულებებისგან აცდენას ლეგალიზმამდე მივყავართ, რაც ეტლის ცხენზე წინ დაყენებას ჰგავს. მ. ხანი სწორად მოუწოდებს მუსლიმებს, „მიუდგრენ ისლამს, როგორც ლირებულებების წყაროს, რომელიც მოქმედებებს განსაზღვრავს და არა როგორც პრობლემების გადაჭრის გზების სისტემას.“¹¹ შესაბამისად, რა არის ის არსებითი ლირებულებები, რომლებიც მუსლიმებმა უნდა დაიცვან და მათი აზროვნების პროცესში, კულტურასა და სამართლებრივ ჩარჩოში ინტეგრირება მოახდინონ? ქვემოთ მოცემულია საილუსტრაციო, თუმცა არავითარ შემთხვევაში ამომწურავი ჩამონათვალი:

- 1. ადამიანის ფუნდამენტური ლირსება (თითოეული ადამიანი პიროვნებაა და არა ობიექტი ან ნივთი)**

^{11.} M. Khan, “The Priority of Politics,” Boston Review (April/May 2003), <http://www.bostonreview.net/BR28.2/khan.html>. [Accessed October 7, 2006].

ღმერთმა თითოეული ჩვენგანი ადამიანად აკურთხა და მუსლიმები ადამიანის ღირსების ფუნდამენტური უფლების დასაცავად პირველ რიგებში უნდა იდგნენ. (ყურანი- 4:1)

2. სამართლიანობა

ისლამის მიერ სამართალზე (სამართლიანობაზე) გაკეთებული განსაკუთრებული აქცენტი ცალსახაა. ის ისეთ სტანდარტს აწესებს, რომელიც ნებისმიერი სხვა იდეოლოგიისა თუ რელიგიის მიერ დაწესებულ სტანდარტზე მაღალია, მოუწოდებს რა მის მიმდევრებს მუდმივად სამართლიანობის მხარეს დადგნენ, მაშინაც კი როდესაც ეს მავანის ინტერესების საზიანოდ მოქმედებას გულისხმობს (ყურანი-4:135).

3. თანასწორობა (არადისკრიმინაცია)

მიუხედავად იმისა პირი მუსლიმია თუ არამუსლიმი, ქალია თუ კაცი, თეთრკანიანია თუ შავკანიანი, ისლამის ღირებულებაზე ორიენტირებული ნორმა თანასწორობაა. ამ სამყაროში ყველა ადამიანი თანასწორია, განსაკუთრებით ისეთ უფლებებთან მიმართებით, როგორიცაა სიცოცხლის, ღირსებისა და საკუთრების უფლება. ყველაფერი კარგისთვის ან ღირებულისთვის, რაც მუსლიმებს გააჩნიათ, ალლაჰი მათ საიქიო ცხოვრებაში აჯილდოვებს. თუმცა ადამიანურ დონეზე, თითოეულმა ადამიანმა სხვას თანასწორად უნდა აღიქვას.

4. თავისუფლება

ის, რომ ისლამის კონსტიტუქცია თავისუფალ არჩევანზე დგას და არა იძულებაზე, ღირებულებებზე ორი-ენტირებული მიდგომის ერთ-ერთი საკვანძო ასპექტია. იმისთვის, რომ ისლამი კვლავ აქტუალური გახდეს, უნდა მოხდეს მორწმუნეთათვის აუცილებელია თავისუფალი არჩევანის აღიარება. როდესაც მუჰამად შუამავალი და მისი ახალწარმოქმნილი საზოგადოება მკაცრ და უწყვეტ დევნას განიცდიდა, ალლაჰი მუდმივად ახსენებდა შუამავალს თავისუფლების შენარჩუნების მნიშვნელობას. ნებისმიერ ჯანსაღ და ფუნქციების განმახორციელებელ საზოგადოებაში მოქმედი პარამეტრების შესაბამისად, არავის აქვს არჩევანისა და თავისუფლების ფუნდამენტური უფლების შელახვის ან წართმევის უფლება. სავარაუდოდ, არჩევანთან და იძულებასთან დაკავშირებული ყველაზე დიდი და ფართო სფერო ისლამში სახელმწიფოს როლთანაა დაკავშირებული. ისლამური სამართლისა და მისი არასწორი გამოყენების გამოცდილების გათვალისწინებით, ბევრ მუსლიმს, ისევე როგორც არამუსლიმს, შესაძლოა დიდი ეჭვები ჰქონდეს ისლამურ სამართალთან და პოლიტიკური ძალაუფლების რელიგიური ძალაუფლების აღრევასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მუსლიმებს სახელმწიფოსა და მმართველობის უკეთესი, ფუნქციური მოდელის შექმნა ესაჭიროებათ, რომელიც ისლამის ღირებულებებისა და პრინციპების შესაბამისი იქნება.

5. უნივერსალური მორალური ღირებულებები (მა'რუფ)

„თქვენ ხართ ყველაზე კარგი თემი (ან-ნას), ვინც კი მოვლენილა [ხალხთა შორის], ბრძანებთ სასურველს (მა'რტფ) და კრძალავთ საძულველს (მუნქარ), რადგანაც გწამთ ალლაპის, ხოლო რომ ერწმუნათ ღვთიური წიგნის ხალხს, მათვისვე იქნებოდა უკეთესი. მათ შორის არიან მორწმუნენი, მაგრამ გზასამცდარნიც არიან დიდი ნაწილი მათგან.“ (ყურანი- 3:110).

ყურანის მონოდება „მა'რტფის“ კეთებისკენ და მისი მონოდება „მუნქარისგან“ დაშორებისკენ უნივერსალური გაგებით მორალურ ღირებულებებთანაა დაკავშირებული. ორივე მათგანი, როგორც „მარტფი“, ისე „მუნქარი“, მნიშვნელობების ფართო სპექტრს მოიცავს და ამ ორი კონცეპტის სწორად გაგებას მუსლიმის ცხოვრების-თვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

6. ადამიანურობაზე ორიენტირებულობა და გლობალური მიკუთვნებადობა

ერთ საფეხურზე ყველა ადამიანი ოჯახს მიეკუთვნება. სხვა საფეხურზე კი პიროვნება ერს ან ქვეყანას მიეკუთვნება. სრულიად განსხვავებულ საფეხურზე მუსლიმები მუსლიმურ უმმას მიეკუთვნებიან. კიდევ ერთ განსხვავებულ საფეხურზე კი - ყველა კაცობრიობის ნაწილია. არ არის აუცილებელი, ზემოხსენებული კუთვნილების რომელიმე სახე სხვა სახეს დაუპირისპირდეს. პიროვნების ოჯახი და ეროვნება უმეტესად სულაც არ წარმოადგენს ამ პიროვნების არჩევანს; ინდივიდები იბა-

დებიან მათში, მიეკუთვნებიან რა ოჯახს და უკავშირდებიან ნათესავთა წრეს ბიოლოგიური და სხვა სახის კავშირებით. ხალხთა გლობალური მობილობის ზრდასთან ერთად აღნიშნულ ეტაპზე, ეროვნული კუთვნილება სულ უფრო არამყარი ხდება. მიუხედავად ამისა, პირს მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიმართ ერთგულების პარალელურად სრულიად უპრობლემოდ შეუძლია შეინარჩუნოს კავშირები სამყაროს იმ ნაწილთან, რომლიდანაც წარმოშობითაა. მუსლიმებმა სწორედ ეს უნდა დაანახონ ცალსახად იმ ქვეყნების მოქალაქეებს, სადაც ემიგრირდებიან. მათ ღირებულ საკითხებთან დაკავშირებით საერთო ენა უნდა გამონახონ. მუსლიმები გლობალური კუთვნილების განვითარებისთვის წინა რიგებში უნდა დადგნენ.¹²

7. წარმომადგენლობა და მონაწილეობა (შურა)

კონსულტაცია, „შურა“, ისლამში სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესი და მნიშვნელოვანი ინსტიტუციაა, რომელიც საკვანძო როლს ასრულებს ღირებულებებზე ორიენტირებულ კონტექსტში. ურთიერთობების განსხვავებული დონეები ისლამში სწორედ კონსულტაციას ეფუძნება და არა იძულებას ან ტყუილს. შესაბამისად, მმართველობის, ადმინისტრირებისა და ლიდერობის კონცეფცია მონაწილეობაზეა დაფუძნებულია - რაც

^{12.} M. O. Farooq, "The Spirit of Global Belonging: Perspectives from Some Humanity-Oriented Icons," (2006), http://www.nazrul.org/works_on_nazrul/articles/global-belonging.doc. [Accessed June 21, 2007].

იმას ნიშნავს, რომ ისინი, ვისზეც გავლენას ახდენს საბოლოო გადაწყვეტილება, სათანადო კონსულტაციის უფლებით სარგებლობენ.

8. კანონის უზენაესობა

კანონის უზენაესობა ისლამში შემდეგი ოთხი პუნქტის შესაბამისად განისაზღვრება:

- (ა) კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, სადაც არავინ შეიძლება იდგეს კანონზე მაღლა, როდესაც კანონები ობიექტურ, გასაგებ ნორმებზეა დაფუძნებული;
- (ბ) დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა;
- (გ) კანონის აღსრულება ხდება ცივილიზებულად და მიუკერძოებლად;
- (დ) დავების გადაწყვეტა ხდება სასამართლო სისტემის, პოლიტიკური სისტემის ან ორივეს ჩართულობით, მოქალაქეების ან სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი ძალადობის გარეშე.

9. საერთო კეთილდღეობისთვის საერთო საფუძვლის ძიება

მსგავსებებზე მეტად განსხვავებების ხაზგასმა და გაზვიადება საერთო ადამიანური ტენდენციაა. ამ კუთხით, არც მუსლიმები წარმოადგენენ გამონაკლისს. ისლამი ადამიანებს ჭეშმარიტების ძიებისკენ მოუწოდებს ხოლო ყველა შესაძლო და შესაფერის შემთხვევაში, ის-

ლამი ასევე ცდილობს მონახოს და განამტკიცოს ურთიერთგაგება.

10. ძალადობის, როგორც ჩვეულებრივი მოვლენის უარყოფა

ისლამში მშვიდობა და არააგრესიულობა ნორმებია. ისლამი უარყოფს გაუმართლებელი აგრესიის ფორმით ძალადობას, თუმცა არ კრძალავს მას სამართლებრივად გამართლებული ძალის გამოყენების ფორმატში. თუმცა, დასაშვები ძალადობის ერთადერთი ფორმა კანონის უზენაესობის ფარგლებში განხორციელებული თავდაცვაა, ძალადობის წამოწერის და ნებისმიერი გადაცდომის გარეშე, რომელიც მკაცრ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში მუსლიმისათვის დაუშვებელია ძალადობა, განსაკუთრებით შურისძიების მიზნით.

11. მიუკერძოებლობა

ვინაიდან ალლაჰის მსჯავრი ადამიანს საიქიო ცხოვრებაში ელის, მნიშვნელოვანია, რომ ღმერთის თაყვანისცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე განაჩენი მხოლოდ ალლაჰმა გამოიტანოს, ამიტომ მუსლიმებმა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არ უნდა განსაჯონ თანამოძმები.¹³

¹³. M. Asad, This Law of Ours, pp.30–31.

12. შინაარსის უპირატესობის ხაზგასმა ფორმასთან შედარებით

„რწმენა“ მხოლოდ სიტყვის მასალად იქცა, ცარიელ, აზრისგან დაცლილ სიტყვად, რომელიც ენთუზიაზმის იმ ნაპერწკალსაა მოკლებული, რომელიც ჩვენი [ისლა-მური] ისტორიის საწყის ეტაპზე მუსლიმებს კულტუ-რულ და სოციალური მიღწევებს შთააგონებდა. უდა-ვოა, რომ ისლამი, როგორც ემოცია, კვლავაც ცოცხა-ლია. ის იმ მილიონობით ადამიანის ინსტინქტური სიყ-ვარულით ცოცხლობს, რომლებიც გრძნობენ, რომ ის-ლამის პრინციპები „სწორია“: თუმცა მხოლოდ მათი მცირე ნაწილი აცნობიერებს ამ პრინციპებს ინტელექ-ტუალურად და შესწევს უნარი ან ნამდვილად მზადაა ისინი პრაქტიკული ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს მი-უსადაგონ.¹⁴

სწორედ ეს არის ის ძირეული პრობლემა, რომე-ლიც დღესდღეობით მუსლიმების წინაშე დგას; შინაარსი, ძირითადი ხასიათისა და ღირებულების გადმოსახედი-დან, მოწყდა ფორმებსა და რიტუალებს. ამგვარად, ყუ-რანის მახსოვრობა განსაკუთრებით ხაზგასმულია მისი გზავნილების შესწავლასა და გაგების სასარგებლოდ.

13. ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება კოლექ- ტიურად სწავლის მრუდის სახით

ტრადიციონალისტური აღქმისა და მიდგომის საპი-რისპიროდ, ისლამი არ წარმოადგენს მთლიანად ტექ-

¹⁴. M. Asad, This Law of Ours, pp.30-31.

სტიჟე ორიენტირებულ რწმენას. ამ სამყაროს შეცნობის მცდელობისას, ღმერთს სურს, რომ ადამიანებმა სარგებელი მიიღონ ცხოვრებისეული გამოცდილებისგან. ის მოუწოდებს ადამიანებს, რომ იმოგზაურონ, ნახონ და შეისწავლონ ისტორია. ნაცვლად თავის საღვთო წიგნებში ჩარგვისა, სასწავლო ერთობები მოწოდებული არიან დააკვირდნენ, დაფიქრდნენ და სწორად ასახონ რეალობა.

ღირებულებების ეს სია არავითარ შემთხვევაში არ არის ამომწურავი. ზემოხსენებული ღირებულებები და პრინციპები, რომლებიც კარგადაა დამუშავებული და დეტალურადაა განვითარებული წიგნში, პირდაპირ ყურანზეა დაფუძნებული. ისინი იმ ძირითად პარამეტრებს შორის უნდა იყოს, რომლებიც არაყურანისეული წყაროებიდან წარმოშობილი ისლამური კანონების ფორმირებისა და ჩამოყალიბების პროცესს წარმართავენ. როდესაც ყურანის გარდა სხვა წყაროები, მათ შორის ჰადისები, წინააღმდეგობაში მოვა ამ მკაფიო პრინციპებთან (მუჰადად შუამავლის ცხოვრება, როგორც ღმერთის საბოლოო გზავნილის გადმომცემისა, არ შეიძლება ენინააღმდეგებოდეს ყურანს), უპირატესობა ამ პრინციპებსა და ღირებულებებს უნდა მიენიჭოს. უფრო მეტიც, კანონებსა და კოდექსებს, ლეგალიზმის მოთხოვნების საპირისპიროდ, ატომისტიკური თავსებადობა არ მოეთხოვებათ. მაშასადამე, მანამ, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცება, არცერთმა კანონმა და კოდექსმა, რომელიც ადამიანის ჩართულობით იქნა მიღებული, არ უნდა დაარღვიოს ან ეჭვქვეშ დააყენოს ყურანის პრინციპები.

თავი მესამე

ისლამური სამართალი და ჰადისის გამოყენება და მისი ბოროტად გამოყენება

ყურანი ისლამის ამოსავალი წყაროა. ისლამის მეორე წყარო სუნაა, იგი შუამავლის ცხოვრების წესს, მაგალითს წარმოგვიჩენს, რომელიც მან მოგვცა მისი ქცევით, ქმედებებითა და გამონათქვამებით და რომელიც რწმენის საფუძველს აყალიბებს. ამ თავში დისკუსია რამდენიმე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს, რომლებიც ჰადისების საკითხს შეეხება და კანონების შემუშავების, ფორმირებისა და დამტკიცების პროცესში ჰადისების არასწორად გამოყენებასთან დაკავშირებულ რამდენიმე პრობლემას განიხილავს.

სიმარტივისა და სიცხადისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ჰადისი და სუნა ურთიერთჩანაცვლებით გამოიყენება. სუნა გაგებულ უნდა იქნეს, როგორც „ნორმატიული, სანიმუშო ქცევა და სამაგალითო საქციელი, რომლის უპირველესი შინაარსიც „მაგალითის მიცემაა.“¹⁵ თუმცა, ჰადისებთან/სუნასთან დაკავშირებით რამდენიმე ზოგადად არასწორი პოზიცია არსებობს.

¹⁵. M. Y. Guraya, Islamic Jurisprudence in the Modern World (Lahore, Pakistan: Sh. Muhammad Ashraf, 1993), p.76.

ამ პოზიციებს შორის, ერთ-ერთი ვარაუდობს, რომ თუკი ჰადისი შუამავალს ციტირებს, ის ზუსტად იმაზე მიუთითებს, რაც შუამავალმა თქვა. თუმცა, მკითხველს შესაძლოა გამართლებული შთაბეჭდილება შეექმნას, რომ ჰადისში მოყვანილი შუამავლის სიტყვები იმ განმარტების გარეშეა მოცემული, რომ საკითხების, რომელსაც სიტყვები ეხება, პარაფრაზია გაკეთებული. ჰადისების ყველა კრებული როდი მიუთითებს ვარიაცებზე. ნარატივში არსებული ვარიაციები შუმავალის ზუსტი სიტყვების დადასტურების შესაძლებლობას არ იძლევა. მეორე საგულისხმო პოზიცია ისაა, რომ „საჭირო“ (ავთენტური) გადმოცემები შესაძლოა მოძიებულ იქნეს ჰადისების ნებისმიერ კრებულში (გარდა იმ კრებულებისა, რომლებიც სპეციალურად შეიცავს არაავთენტური ჰადისებს შედარებისთვის).

არსებობს ექვსი ძირითადი კანონიკური კრებული, „ას-სიჭირო ას-სითთას“ საერთო სახელწოდებით. თუმცა, ჰადისის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ადასტურებენ, რომ ალ-ბუხარის კრებულშიც კი რამდენიმე გადმოცემა სადავოდ რჩება. უფრო მეტიც, საჭირო ჰადისებიც კი არაერთი ინტერპრეტაციის საგანია, ხოლო ადამიანების ინტერპრეტაცია ზოგჯერ მცდარია. მესამე, ფართოდ გავრცელებული მოსაზრებით, ჰადისის გადმოცემაში ადგილი არ აქვს წინააღმდეგობას. თუმცა, ჰადისების არაერთი მაგალითი არსებობს, მაგალითად „რიბას“ (მევახშეობის) შესახებ, რომლებშიც ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებია.

მეოთხე, არსებობს შეხედულება, რომ ჰადისის ლიტერატურა იძლევა უდავო და საბოლოო ცოდნას ან ინფორმაციაა. რეალურად მხოლოდ „მუთავჯორი ბი ალ-ლაფზ“ ჰადისი (მუდმივად განმეორებადი, სხვადასხვა მთხოვნელის სიტყვასიტყვითი ჩანაწერები) იძლევა დამაჯერებელ ცოდნას. „მუთავათირ ბი ალ-მა'ნაც“ კი (მნიშვნელობით) არ გვაწვდის დამაჯერებელ ცოდნას. რეალურად, როგორც ჰადისის მეცნიერები ადასტურებენ, „მუთავათირ ბი ალ-მა'ნა“ მხოლოდ მცირე ნაწილია (მხოლოდ მოზარდებს შორის). შესაბამისად, ჰადისის ფაქტობრივად მთლიანი ლიტერატურა „პჭანდის“ (არა მუთავათირი) ნარატივისგან შედგება, რომელიც მხოლოდ სავარაუდო ცოდნას გვაძლევს და არა დამაჯერებელს. აღნიშვნულის გათვალისწინებით, მათი გამოყენებისას კანონების, კოდექსებისა და დოგმების ფორმირების პროცესში, აუცილებელია დამატებითი წინდახედულება და სიფრთხილე. მიუხედავად ამისა, მუსლიმი მეცნიერების უმეტესობა იმ პოზიციაზე დგას, რომ პჭანდ ჰადისი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შემზღვდავი კანონების ან კოდექსების მისაღებად.

ასევე მნიშვნელოვანია, ისლამური კანონების ფორმირებისა და დამტკიცების პროცესში ჰადისების გამოყენებისა და მისი ბოროტად გამოყენების საკითხსაც შევეხოთ. ლეგალისტური ტენდენციის განვითარება რამდენიმე შედეგს იძლევა. სხვადასხვა მაზჲაბის (სამართლებრივი სკოლები) წარმოქმნამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს გარკვეულწილად სასარგებლო აღმოჩნდა, უმეტესად ის-

ლამური საზოგადოების ფრაგმენტაცია გამოიწვია. ამ ტენდენციის მეორე და უფრო მნიშვნელოვანი შედეგი ისლამის სახელით მიღებულ არაერთ კანონთანაა დაკავშირებული, რომელიც აშკარად გენდერული თვალსაზრისით დისკრიმინაციულია და სხვა უსამართლო ტენდენციებს წინ წამოწევს, რომლებიც სამართლიანობისა და თანასწორობის ისლამურ პრინციპებთან სრულიად შეუსაბამოა. აღნიშნული დამატებით განმარტებას საჭიროებს.

შუამავალმა ქალების რეგულარული და შეუფერხებელი მონაწილეობა ბრძანა მეჩეთზე ცენტრირებულ ცხოვრებაში. თუმცა, იმ ქვეყნების უმეტესობაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას მუსლიმები წარმოადგენენ და დასავლურ ქვეყნებშიც კი, ქალების დიდი ნაწილი არ მონაწილეობს მეჩეთში ჩატარებულ საერთო ლოცვებში (სალაპ), შემზღვეული და მათთვის შექმნილი არახელ-საყრელი გარემოს გამო. მაშინაც კი, როდესაც გარკვეული მიზეზით მამაკაცებს უწევთ ქალების „ატანა“, ისინი ქალებისთვის მეტად რთულ და არაკომფორტულ ვითარებას ქმნიან. მოდით ქვემოთ მოცემულ ორ ჰადისს გადავხედოთ:

აბდულა იბნ მას'უდი: შუამავალმა ბრძანა: „უმჯობესია, ქალმა საკუთარ სახლში ილოცოს, ვიდრე ეზოში და უმჯობესია, ქალმა საკუთარ ოთახში ილოცოს, ვიდრე საკუთარ სახლში.“¹⁶

¹⁶. A. Hasan, (trans.), Sunan Abu Dawud, (1990), vol. 1, kitab al-Adab, hadith no. 570.

‘აიშას გადმოცემა: ალლაჰის შუამავალს, რომ სცოდნოდა, რას სჩადიან ქალები, ის მათ მეჩეთში სიარულს აუკრძალავდა, როგორც ეს ისრაელის ტომის ქალებისთვის იქნა აკრძალული. იაჰია ბინ საიდმა (ქვე-მთხრობელი) ამრას (კიდევ ერთი არაპირდაპირი გამომცემი) ჰკითხა, „ის-რაელის ტომის ქალებს ნამდვილად ეკრძალებოდათ?“ მან უპასუხა, „დიახ.“¹⁷

საჭირო (მაგრამ არა მუთავათირ) ჰადისის (აბდულ-ლაჰ იბნ მას'უდის მიერ ჩანერილი) ფორმითაც კი, აღნიშნულ ფაქტს უეჭველი ცოდნა, რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შუამავლის სიტყვის სიზუსტის უზრუნველსაყოფადაა საჭირო. ამ ტრადიციის საწინააღმდეგო უამრავი გადმოცემა არსებობს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქალები რეგულარულად და დიდი რაოდენობით დადიოდნენ მეჩეთში. შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებულ ქალებს ან არ აღელვებდათ შუამავლის დარიგებები (საკუთრივ მისი ყოფნის დროსაც კი) ან ისინი ჰადისს საკმაოდ განსხვავებულად იგებდნენ.

რაც შეეხება მეორე გადმოცემას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ჰადისი საჭირო აღ-ბუხრანსთანაც ჩნდება, ის არ წარმოადგენს იმ მტკიცებულებას, რომელიც შუამავლისგან მომდინარეობს. რეალურად, ის მხოლოდ მისი კომპანიონის აზრია (თუმცალა მნიშვნელოვანი და ძალიან ახლო კომპანიონის, კერძოდ შუამავლის მეუღლის). ტექნიკურ ისლამურ უარგონზე ამ ტიპის

¹⁷. M. M. Khan, (trans.), Sahih al-Bukhari, vol. 1, hadith no. 828.

გადმოცემა „ასარის“ სახელითაა ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ როგორც კომპანიონი, ჰადისის გადმომცემი და მუჰამად შუამავლის მეუღლე, სრულიად დამსახურებულად სარგებლობს დიდი პატივისცემითა და დაფასებით, მისი მოსაზრება მხოლოდ მის დამოუკიდებელ აზრს წარმოადგენს, რომელიც თავად შუამავლის ნათევამი არაა. ასევე არ არსებობს იმავე პერიოდის არავითარი დადასტურებული ინფორმაცია, მტკიცებულება ან ჩანაწერი, რომელიც მეჩეთებში ქალების აღმაშფოთებელ ქცევაზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, ამ სახის განცხადებებმა ღრმა კვალი დატოვა ისლამურ კულტურაზე, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა ქალების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამგვარი ტენდენციის შედეგების კიდევ ერთ მაგალითად ის გამოდგება, რომ ქალებს ეკრძალებათ ხელმძღვანელი პოზიციების დაკავება. აბუ ბაქრას (არ უნდა აგვერიოს პირველ ხალიფა, აბუ ბაქრში) ერთ ცალკეულ (აჭარ) გადმოცემას მკაცრი ორთოდოქსული პოზიციის ჩამოყალიბება მოჰყვა, რომლის თანახმადაც ქალებს ეკრძალებათ აღმასრულებელი ხელმძღვანელობის განხორციელება:

აბუ ბაქრას გადმოცემა: „აღ-ჯამალის (აქლემის) ბრძოლის დროს, ალლაჰმა სიტყვა მიწყალობა (მე მოვისმინე შუამავლისგან). როდესაც შუამავალმა შეიტყო, რომ სპარსეთის ხალხმა საკუთარ დედოფლად (მმართველად) ხოსროს ქალიშვილი დასვა, მან თქვა, „ვერას-

დროს მიაღწევს წარმატებას ერთ, რომელიც თავის
მმართველს ქალს გახდის. “¹⁸

თუმცა, ცნობილია, რომ ამ პიროვნებას, აბუ ბაქ-
რას, სასჯელი დაეკისრა ცრუ ჩვენების მიცემისთვის.¹⁹
უფრო მეტიც, ეს ჰადისი ვერ აკმაყოფილებს თავად ალ-
ბუხარის მიერ დაწესებულ სტანდარტებს, მიუხედავად
იმისა, რომ ის მან საკუთარ კრებულში შეიტანა. გარდა
ამისა, ყურანში ბალკესის, საბა’ს (შება) დედოფლის ის-
ტორია ქალების ლიდერობასთან დაკავშირებით მინიშნე-
ბასაც კი არ მოიცავს ნეგატიურ დამოკიდებულებაზე.
მიუხედავად ამისა, ამ საეჭვო და სადავო წარმოშობის
ცალკე მდგომად გადმოცემამ მეტად ფართო და მკაცრი
შეზღუდვა დააწესა ქალთა ლიდერობაზე.

ჰადისის ბოროტად გამოყენების ერთ-ერთი ყველა-
ზე ნათელი მაგალითი რჯულგანდგომილებისთვის დას-
ჯაა.²⁰ რჯულგანდგომილებისთვის (რიდდა) ერთ-ერთი
განაჩენი იმაში მდგომარეობს, რომ ის არა მხოლოდ
დასჯადი ქმედებაა, არამედ სიკვდილით დასჯადი დანა-
შაულია [თუმცა, რეალურად ბევრი განუდგა სარწმუნო-
ებას თავისუფლად, ყოველგვარი სასჯელის გარეშე].
რჯულგანდგომილებაზე აღნიშნულ პოზიციასთან დაკავ-

¹⁸. M. M. Khan, (trans.), Sahih al-Bukhari, vol. 9, hadith no. 219.

¹⁹. F. Mernissi, Veil and the Male Elite: A Feminist Interpretation of Women's Rights in Islam (Reading, Massachusetts: Perseus Books, 1987), pp.49–61, citing Ibn al-Athīr, Usd al-Għibah, vol. 5, p.38.

²⁰. Editor's note, please also see AbdulHamid AbuSulayman, Apostates, Islam & Freedom of Faith: Change of Conviction Vs Change of Allegiance, Occasional Paper No. 22, (Malta: IIIT, 2013)

შირებით ერთ-ერთი კონკრეტული გადმოცემა ასეთია: „მოკალი ის, ვინც შეიცვლის საკუთარ რელიგიას (მან ბადდალა დინაჰუ ფაკतულუჰუ).“²¹ ისე მოხდა, რომ ეს არის „პჰანდი“ ან ცალკე მდგომი ჰადისი. არ არსებობს შუამავლის ჩამოყალიბებული პრაქტიკის დამადასტურებელი ჰადისი, რომელიც რჯულგანდგომილებისთვის ამ სახის სასჯელის გამოყენების დემონსტრირებას ახდენს, უფრო მეტიც, თავად შუამავალი სწორედ საპირისპიროს დემონსტრირებას ახდენს. ცხადია, სიკვდილით დასჯა მართლაც რომ ყოფილიყო მოქმედი და ასეთი სერიოზული ხასიათის მატარებელი, ყურანი მას აუცილებლად შეეხებოდა, თუმცა ის მას არ ეხება. ყურანი საკმაოდ კატეგორიულად აცხადებს რწმენის თავისუფლებას. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ საბედნიეროდ ეს ტენდენცია იცვლება, არაერთმა სწავლულმა უარყო უზენაესი ყურანის პრინციპი ცალკე მდგომი ჰადისის სასარგებლოდ.

მიუხედავად ჩვენი მკვლევარების გულმოდგინებისა და შეტანილი დიდი წვლილისა ჰადისების საგანძურის გამოკვლევისა და შესწავლის პროცესში, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ჰადისი, როგორც წესი, მხოლოდ სავარაუდო ცოდნას გვაძლევს. შესაბამისად, ლიტერატურის ეს ნაწილი, ჰადისები, რომელიც დღეს გვაქვს, უმეტესად

²¹. M. M. Khan, (trans.), *Sahīḥ al-Bukhārī*, vol. 9, hadith no. 57. For a list of other sources where this hadith appears and a critical analysis of it, see A. Shafaat, “The Punishment of Apostasy in Islam (Part II): An Examination of the Hadiths on the Subject,” http://islamicperspectives.com/PunishmentOfApostasy_Part2.html. [Accessed October 29, 2006].

ინფორმაციის, მორალური შთაგონებისა და სიბრძნის წყაროს სახით უნდა იქნეს გამოყენებული, მაშინ როცა გაცილებით თავშეკავებული მიდგომის გამოყენებაა საჭირო იმ კანონებისა და კოდექსების მიღების პროცესში ჰადისის გამოყენებისას, რომელთაც პირდაპირი და სერიოზული გავლენა აქვთ ადამიანების ცხოვრებაზე, ლირსებასა და საკუთრებაზე. აღნიშნული შეზღუდვა კი-დევ უფრო მნიშვნელოვანია იმ კანონებთან და კოდექსებთან მიმართებით, რომლებმაც შესაძლოა დისკრიმინაცია ან უსამართლობა გამოიწვიოს.

თავი მეოთხე

იჯმა'ს დოქტრინა: არსებობს თუ არა კონსენსუსი?

იჯმა', იგივე შეთანხმება, კონსენსუსი, ერთსულოვანი აზრი, ისლამური იურისპრუდენციის ოთხი წყარო-დან ერთ-ერთია. ყურანი და სუნა ისლამის ორი უპირველესი და ძირითადი წყაროა, ხოლო „იჯმა“ და „კიდასი“ (ანალოგიებით მსჯელობა) დამხმარე წყაროებს წარმოადგენს. დოგმებიდან დაწყებული ნორმების, კანონებისა და კოდექსების ჩათვლით, მიჩნეულია, რომ „იჯმა“ საკვანძო როლს ასრულებს ისლამურ დისკურსსა და სოციო-რელიგიურ ერთიანობაში. დისკუსია „იჯმა'ს“ შეეხება, რომელშიც კრიტიკის უდიდესი ნაწილი დაუსაბუთებელი და საფუძველს მოკლებულია „იჯმა'ს“, რო-

გორც ისლამური იურისპრუდენციის წყაროს, ფაქტობრივად ყველა ასპექტში კონსენსუსის არარსებობის გამო.

მიუხედავად „იჯმა‘ს“ მყარად დამკვიდრებული პოზიციისა ისლამურ იურისპრუდენციაში, რიგითი მუსლიმები ნაკლებად არიან ინფორმირებული იმის შესახებ, რომ „იჯმა‘“, როგორც ისლამური იურისპრუდენციის წყარო ან ავტორიტეტი, საკმაოდ თხელ ყინულზე დგას. გარდა იმისა, რომ „იჯმა‘მ“ გარკვეულწილად შემაკავშირებელი როლი შეასრულა ისლამურ სამართლებრივ დისკურსში, მან ასევე ხელი შეუწყო დამკვიდრებულ აზრთა სხვადასხვაობასაც. თუმცა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია „იჯმა‘ს“ ბოროტად გამოყენების მაგალითების არსებობა, როდესაც მისი, როგორც ინსტრუმენტის, ხშირი ციტირება ხდება ოპონენტების დასამშვიდებლად ან როდესაც მისი ბოროტად გამოყენება ხდება „იჯმა‘ს“ იმ საკითხებთან მისადაგებით, რომლებშიც „იჯმა‘ს“ არსებობა ცალსახა არაა. ეს საკითხი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, ვინაიდან ტრადიციული აზრის თანახმად, თუკი რაიმეზე არსებობს „იჯმა‘“, რომელიც დოგმას ან სამართლებრივ საკითხს ეხება, ის აუცილებლად სავალდებულო ძალის მატარებელია მუსლიმებისთვის.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი, რომლებითაც მუსლიმი მკვლევრები და იურისტები კონსენსუსის (იჯმა‘) არსებობას ამტკიცებენ: ზედიზედ სამგზის „ტალაკის“ (განქორნინება) წარმოთქმა მოქმედებს და

იურიდიულად ძალის მქონეა; თარავიშის ლოცვა ხანგრძლივობით 20 მუხლი (რაქა'ა); ქალების მმართველობა აკრძალულია; „თალფიკ“ (განსხვავებული მაზჲაბების აზრების შერევა) დაუშვებელია და სხვა მრავალი.

პირველ რიგში, პრობლემა იჯმასთან დაკავშირებით ამ ტერმინის განმარტებიდან იწყება. არ არსებობს „იჯმა“ (კონსენსუსი, ერთსულოვანი აზრი) თავად „იჯმას“ განმარტებაზე. რეალურად, იჯმას განმარტების საკითხი იმამ შაფი‘ს (გარდ. ახ.ნ. 820 წ.) ეპოქამდე არ წამოჭრილა. მეათე საუკუნის ბოლომდე, მკვლევარებს არც კი უცდიათ „იჯმას“ განმარტებაზე მუშაობა. ბევრი მკვლევარი არ ეთანხმება „იჯმას“ განმსაზღვრელ კრიტერიუმებს. თავად კომპანიონებსაც არ ჰქონდათ მაღალი დონის კონსენსუსი ბევრ საკითხზე, რომ ეს იჯმად მიეჩნეულიყო (იჯმა ას-საჭაპბა).

მეორე რიგში, არ არსებობს ერთსულოვანი აზრი იმის თაობაზე, თუ საიდან გამომდინარეობს „იჯმას“ ავტორიტეტი. ზოგი მეცნიერი შეეცადა ყურანის, როგორც ისლამური იურისპრუდენციის მთავარი წყაროს შესაბამისი ადგილები გამოეყო, რომელიც „იჯმას“, სტატუსს უჭერს მხარს. ამასთანავე, ბევრი თვალსაჩინო სწავლული შეენინაალმდეგა ამ მტკიცებას. „იჯმას“ მხარდასაჭერად მოყვანილი ყველაზე ხშირად ციტირებადი ჰადისი შუამავლის სიტყვებია, რომელმაც განაცხადა:

„ჩემი თემი (უმმა) არ დაეთანხმება შეცდომას.“²² თუმცა, ამავე ჰადისის ვარიაციები სხვა კრებულებშიც იქნა გამოყენებული. იჯმას მხარდასაჭერად მოტანილი ამ და სხვა ჰადისების მთავარი პრობლემა ისაა, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ მყოფი ტრადიციები არ წარმოადგენს მუთავათირს, შესაბამისად, ვერ გვაძლევს უეჭველ ცოდნას, ვერც უშუალოდ ტექსტის და ვერც მისი მნიშვნელობისა და მთავარი არსის თვალსაზრისით. როგორც ზემოთაც აღინიშნა, რამდენიმე გადმოცემის შემთხვევას თუ არ გავითვალისწინებთ, მათი უმეტესობა არ წარმოადგენს მუთავათირს (ნაცვლად ამისა, მათი უდიდესი ნაწილი აჰადია — ცალკე მდგომი გადმოცემები) და მაშინაც კი, როდესაც ისინი ავთენტურია (საჭირო), მათი ფაქტობრივი სტატუსი სხვადასხვა ხარისხით ფარდობითია.

„იჯმა‘ს“ დოქტრინამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მაზჰაბების (იურისპრუდენციის სკოლები) ჩამოყალიბებაში, წარმოადგენს რა როგორც მეთოდოლოგის, ასევე კანონების ერთობლიობის, კოდექსებისა და დოგმების სისტემატიზაციას. აზრთა სხვადასხვაობა და უთანხმოება შესაძლოა, გარკვეული თვალსაზრისით, რიგ საკითხებში დინამიზმის გამოხატულებაც იყოს. მიუხედავად ამისა, სასურველად იქნა მიჩნეული, რომ თითოეულ მაზჰაბში თაყვანისცემისა და რიტუალების სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მიღწეული

²². M.T. Ansari, (trans., with introduction and notes), Sunan Ibn-e-Majah (New Delhi, India: Kitab Bhavan, 2000), vol. 5, kitab al-Fitan, hadith no. 3950, p.282.

ყოფილიყო ფართო შეთანხმება ან თითქმის კონსენსუსი. თუმცა, ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში მაზჲაბებში მოგვარდა ისეთი საკითხები, როგორიცაა იმის განსაზღვრა, „თარჩვების“ ლოცვა რვა მუხლს შეესაბამება თუ 20 მუხლს ან „ამინ“-ი საერთო ლოცვაში ხმამაღლა უნდა იქნეს წარმოთქმული თუ არა.

რეალურად კანონებისა და კოდექსების სისტემატიზაციამ შიდა მაზჲაბის დონეზე სიმკაცრესა და შეუწყნარებლობას შეუწყო ხელი. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ჰანაფიტების თანახმად ჰანაფიტი მამაკაცის ქორწინება შაფიიტ ქალთან იურიდიულად დაშვებულია, შაფიიტური სკოლის თანახმად, ამ სახის ქორწინება ბათილია.²³ ისლამური სამართლისა და კოდექსების ელემენტები შეუთავსებელი გახდა არა მხოლოდ თანამედროვეობასთან, არამედ ისლამის სწორედ იმ პრინციპებთან და ლირებულებებთან, რომელთა გამყარებასაც უნდა ცდილობდნენ აღნიშნული კანონები და კოდექსები. „იჯმა‘სთან“ დაკავშირებული კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დიდ ყურადღებას საჭიროებს, ის არის, რომ „იჯმა‘ს“ ჩამოყალიბების პროცესი ვერ იქნება ელიტისტური და ამ პროცესში კონსულტაცია უნდა იქნეს გავლილი იმ ადამიანებთან, რომლებზეც გადაწყვეტილებამ ან პოლიტიკამ შესაძლოა რაიმე ფორმით გავლენა იქო-

²³. B. M. Dayal, (trans., with introduction and notes). The Durr-ul-Mukhtar: M. Alau-din Haskafi (New Delhi, India: Kitab Bhavan, 1992), vol. 2, p.351; also see in this book the next chapter on qiyas for more details.

ნიოს „იჯმა“ მიღწევაში. რა თქმა უნდა, მთელი უმმას პირდაპირი ჩართულობა ამ პროცესში არაპრაქტიკულიც იქნება. თუმცა, სწორედ აქ ხდება „შურას“ პრინციპის გამოყენება საჭირო. როგორც „შურა“, ასევე „იჯმა“-ს საკითხი, შეთანხმებულ და ინტეგრირებულ უნდა იქნეს, რათა წარმომადგენლობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი განვითარდეს, რაც ფუნქციონალურობასა და დინამიზმს უზრუნველყოფს. ამგვარი აზროვნების მიხედვით, სამართალი ხდება ისლამური, როდესაც შემდეგ პირობებს აკმაყოფილებს: (ა) კანონის ფორმულირება სათავეს ისლამის ფუნდამენტური წყაროებიდან იღებს; (ბ) კანონები შემუშავებულია მაკასიდისა და ისლამური ღირებულებების მხედველობაში მიღებით და (გ) საზოგადოების მიერ კანონების მიღება და ამოქმედება „შურას“ მეშვეობით ხდება.

„იჯმა“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ისლამის ისტორიაში და მჭიდრო შეხება აქვთ იურისპრუდენციის გარკვეულ ასპექტებთან. თუმცა, ამ თავის მთავარი არგუმენტი ის არის, რომ მუსლიმებს არც სჭირდებათ და არც უნდა მოითხოვონ აღნიშნული კონცეპტის საღმრთო სიწმინდე, ვინაიდან ის არ არის ამ სახის სიწმინდის მატარებელი. უფრო მეტიც, როგორც ზემოთაც იქნა აღნიშნული, გარდა რიგი ფართო და საბაზისო საკითხებისა, ძალიან ცოტა რამაა, რაზეც „იჯმა“ - კონსენსუსი არსებობს. ამიტომ მუსლიმები მეტად დაკვირვებული უნდა იყვნენ ნებისმიერი იმ საკითხის მიმართ, რომელიც „იჯმას“ არსებობის ერთგვარ დასტურს წარმოადგენს.

შესაბამისად, შეგნებულმა მუსლიმებმა, ნაცვლად მკაც-
რი დოგმებისა და ლეგალიზმის ბრძან დაცვისა, თავი
კვლავ ისლამის პრაქტიკაში განხორციელებასა და
პრობლემების გადაჭრის დინამიკური მეთოდითა და ღი-
რებულებებზე ორიენტირებულად ცხოვრებას უნდა მი-
უძლონან.

თავი მეხუთე

კიბესი (ანალოგიებით განსჯა) და ისლამურ სამარ- თალში არსებული პრობლემატური საკითხები

ჰადისის მეცნიერებმა ფასდაუდებელი შრომა გას-
წიეს ჰადისების კრებულის შექმნასა და მათი ავთენტუ-
რობის დადასტურების მეთოდების განვითარებაში. ინ-
დივიდუალური ჰადისები თავისთავად არც წმინდა და
არც შეუცდომელი არაა. ღვთაებრივი წარმომავლობის-
გან კიდევ უფრო დაშორებულია ისლამური სამართლის
ორი წყარო - „იჯმა“ და „კიბესი“. კიბესი ისლამური
ფიკციის მეოთხე წყარო და ისლამური იურისპრუდენციის
საჭირო და გამოსადეგი ინსტრუმენტია. დისკუსია ამ
თავში „კიბესთან“ დაკავშირებულ არაერთ კონცეპტუა-
ლურ პრობლემას და ისლამურ სამართალში აღნიშნული
ინსტრუმენტის ბოროტად გამოყენების მაგალითებს ეხე-
ბა და აერთიანებს.

მრავალ შემთხვევაში, როდესაც ჩვენი იურისტები
ახალ სიტუაციებს აწყდებოდნენ, გამოსავლის ძიების

პროცესში ისინი ეფექტურად და წარმატებით იყენებდნენ „კიდასს.“²⁴ და ჩვენ, როგორც მუსლიმები, ვსარგებლობთ ამ მიმართულებით მათ მიერ შეტანილი ფას-დაუდებელი და კეთილშობილური წვლილით. არც ყურანი და არც სუნა/ჰადისი არ ფარავს ყველა იმ სიტუაციას, რომელსაც მისი მიმდევრები შეიძლება წააწყდნენ. სწორედ აქ ჩნდება „კიდასი“, ან როგორც სხვაგვარად ეწოდება, ანალოგიებით განსჯა, იქ სადაც „სიტყვის ძირული მნიშვნელობა ... „გაზომვა“, „თანხმობა“ და „თანსაწორობაა.“ „კიდასი“ახალ სიტუაციებსა და ადრეულ პრაქტიკას, განსაკუთრებით შუამავლის პრაქტიკას შორის მსგავსების ძიებას ნიშნავს,“ თუმცა „კიდასიც“ არაერთმნიშვნელოვანი წყალობაა.²⁵

მსგავსად მცდარი მეთოდოლოგიისა და კატეგორიზაციისა, რაც „იჯმა‘სთან“ მიმართებაში დავინახეთ, „კიდასთან“ დაკავშირებით მიმდევრების კონსენსუსის თაობაზე გამოთქმული მტკიცებაც მცდარია. მიმდევართა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ უცნობ, თუმცა ადრინდელი ვითარების მსგავს სიტუაციებთან იყენებდა იმას, რაც იცოდა, შესაბამისად, სწორედ ის მიიჩნეოდა „კიდასად“, რასაც მიმდევრები პრაქტიკაში ახორციელებდნენ. მიუხედავად ამისა, რთულია იმისა მტკიცება, რომ შუამავ-

²⁴. M. Muslehuddin, *Philosophy of Islamic Law and the Orientalists* (New Delhi, India: Taj Company, 1986), p.140.

²⁵. A. AbuSulayman, *The Islamic Theory of International Relations: New Directions for Islamic Methodology and Thought* (Herndon, Virginia: International Institute of Islamic Thought, 1987), p.66.

ლის კომპანიონებმა წინასწარ განსაზღვრეს, მივიდნენ კონსენსუსამდე და იცოდნენ რომ მათ მიერ განხორციელებული ქმედებები „კიდასი“ იყო. ყურანში არ არის არცერთი აია, რომელზეც სწავლულები თანხმდებიან, რომ ის შესაძლოა წარმოადგენდეს „კიდასისთვის“ საფუძველს. მსგავსად ამისა, ჰადისის კრებულების მეშვეობით მეცნიერები სუნასაც იყენებენ, რათა „კიდასისთვის“ ჩამოაყალიბონ დამატებითი ტექსტუალური გამართლება, თუმცა არ არსებობს რეალური გამართლება, რომელზეც ყველა თანხმდება.

„იჯმა“ და „კიდას“ შორის საკმაოდ მჭიდრო კავშირია, თუმცა იმისთვის, რომ ანალოგიებით დედუქციის (კიდასი) შედეგზე რომ ფართო თანხმობა არსებობდეს, ის „იჯმა“ მიერ უნდა იქნეს დადასტურებული. სწორედ ამაში მდგომარეობს მსჯელობის ანომალია და არათან-მიმდევრულობა. მიუხედავად იმისა, რომ ოთხი მთავარი სუნიტური სკოლის მიმდევრები ზოგადად აღიარებენ „კიდას“ ისლამური იურისპრუდენციის ოთხი წყაროდან ერთ-ერთად, მწვავე უთანხმოება არსებობს იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს „კიდასი“, ასევე მისი ფარგლების და მისი ვალიდურობის დამტკიცების მეთოდების შესახებ. შესაბამისად, „კიდასთან“ დაკავშირებით მხოლოდ მცირე კონსენსუსის არსებობაზე თუ შეიძლება ლაპარაკი. თითოეული სკოლა მისეულ განმარტებას უჭერს მხარს, რომელსაც თავისი განსაკუთრებული აქცენტი ან ნიუანსი აქვს. მაგალითად, ალ-შაფი' ისთვის, „კიდასი“ და იჯთიჰადი სინონიმებია, მაშინ როცა სხვა

სწავლულებისთვის ეს ასე არაა. ოთხივე სკოლას შორის საერთო მახასიათებელი ყველა შემთხვევაში „ილლას“ (კანონის განმაპირობებელი მიზეზის) დადგენაა. ზუსტად ისევე, როგორც არ არსებობს კონსენსუსი იმასთან და-კავშირებით, წარმოადგენს თუ არა „კიდასი“ ისლამური იურისპრუდენციის ვალიდურ მეთოდოლოგიას, მსგავსი პრობლემებია კონსენსუსის არარსებობასთან დაკავში-რებით იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს „ილლა“, საიდან გამომდინარეობას და როგორ დასტურდება მისი ნამდვილობა.²⁶

კიდევ ერთი პრობლემა „კიდასთან“, როგორც ის-ლამურ იურისპრუდენციაში ძალაუფლებისა და მეთო-დოლოგიის წყაროსთან არის ის, რომ სერიოზულად რთულდება შეთანხმების არარსებობით, თუ რა ურთი-ერთობაა „ასლსა“ (პირველი შემთხვევა) და „კიდასზე“ დაფუძნებული კანონების ვალიდურობას შორის. „კიდასი“ იმის სპეციულატიურ მტკიცებულებას წარმოად-გენს, რომ ის ადამიანების ვარაუდებზეა დაფუძნებუ-ლია, რაც მცდარი შეიძლება იყოს. მაშასადამე, როდე-საც ერთი ინსტრუმენტის შემადგენელი ნაწილი ხდება, როგორც უცდომელი ღვთაებრივი წყაროები, ასევე ცდომილი ამქვეყნიური წყაროები, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გარკვეულ გადაცდომებს, თუკი ადამიანური ცდომილების შესაძლებლობები გონივრულად არ იქნა

²⁶. N. Shehaby, “Illa and Qiyas in Early Islamic Legal Theory,” Journal of American Oriental Society 102(1) (Jan-Mar, 1982), pp.27–46

გააზრებული და შესაბამისი ხარისხით მხედველობაში მიღებული.

კიდევ რამდენიმე შემთხვევა არსებობს, რომელშიც „კიდესის“ გამოყენება პრობლემატურია, მაგალითად, „ქაფვს ან ქუფვს“ (თანასწორობა ქორწინებაში) შემთხვევაში. ის ფაქტი, რომ პოტენციურ პარტნიორებს ქორწინებაში რაც შეიძლება მეტი საერთო უნდა აკავშირებდეთ ან შეძლებისდაგვარად მსგავსი წარმომავლობა ჰქონდეთ, უბრალოდ საღი აზრის საკითხია. თუმცა, ამ საკითხის მთლიანად სამართლებრივ ვალდებულებად ტრანსფორმაცია და გარკვეული დარღვევების ოჯახის წევრების ან ყადის „კადრ“ (მოსამართლე) მხრიდან სამართლებრივ ჩარევად განხილვა, ლეგალური ტენდენციის ნათელი მაგალითია. ჰანაფიტურ ტექსტებზე, კერძოდ მარლინნანს (გარდ. ახ. წ. 1197 წ.)²⁷ „ალ-ჰიდაზ“ დაყრდნობით, „...ქორწინების დადასტურებისა და მისი ნამდვილობის დადგენისას; თუკი ქალი ვალდებულია დაქორწინდეს მამაკაცზე, რომელიც მასზე დაბლა დგას წარმომავლობითა და მდგომარეობით, ქალის მეურვეებს მათი დაშორების უფლება აქვთ ქალის დამცირებისა და შეურაცხყოფისგან დაცვის მიზნით, რომელიც მას ქორწინების შემთხვევაში მიადგებოდა.“

²⁷. ალ-ჰიდაზს თარგმანი რომლისგანაც ამონარიდი ამოღებულია, დაბალი ხარისხისაა და არქაული ინგლისურითაა დაწერილი. ამავდროულად, ზოგი ტერმინების და სახელების ამოცნობა რთულია. შესაბამისად, რამდენიმე შესწორება და ანოტაცია დამატებულია რათა საკითხთან დაკავშირებული ამონარიდები უფრო მკაფიო გამხდარიყო

ამ ამონარიდთან დაკავშირებული პრობლემა ის არის, რომ რაღაც ქორწინების „ვალდებულებად“ მიიჩნევა, მაშინ როცა არც ყურანი და არც სუნა მსგავსს არაფერს აკონკრეტებს. უფრო მეტიც - ფაქტი, რომ ქორწინებაში ორი პოტენციური პარტნიორის მეურვეებს სასამართლო სისტემის გზით სამართლებრივი ჩარევის უფლება აქვთ ქორწინების ჩაშლის პროცესში, მაშინ როდესაც ქორწინება ვერ პასუხობს გარკვეულ მოთხოვნებს, საკმაოდ დაუსაბუთებელია. აღნიშნულის ტექსტობრივი დასაბუთება შემდეგნაირია: ‘აიშამ გადმოსცა შუამავლის სიტყვები: „შეარჩიეთ თქვენი სპერმისთვის საუკეთესო ქალები, იქორწინეთ თანასწორზე (არაბულად, აქფა)“ და სთხოვეთ მათ ხელი.’²⁸

ზემოხსენებული გადმოცემა არც „მუთავსთირ ბილ-ლაფზია“ (ზუსტი სიტყვები) და არც „ბი-ლ-მა‘ნა“-აა (ზუსტი მნიშვნელობა). იმ შემთხვევაშიც კი, თუ გადმოცემა „საჭიროს“ კატეგორიაში მოხვდებოდა - სხვა სიტყვებით, სარწმუნო ჰადისში, ის მაინც ვერ უზრუნველყოფდა ცოდნის სიზუსტეს. თუმცა უფრო დიდი პრობლემა ისაა, რომ ჰადისი „საჭიროც“ კი არაა. გარდა ამისა, ამ ჰადისის გარეშეც, ჰადისის შესახებ ლიტერატურა ნათლად გვიჩვენებს აღნიშნულ საკითხზე სხვა გადმოცემების არარსებობას. მხოლოდ ვარაუდებით შეიძლება აიხსნას ამ გადმოცემის საფუძველზე კანონის გამოგო-

²⁸. C. Hamilton, The Hedaya or Guide: A Commentary on the Mussulman Laws, (trans., with introduction and notes) by Al-Marghinani, 2nd edn. (Karachi, Pakistan: Darul Ishaat, 1989), p.110.

ნება, რომლის დარღვევაც სამართლებრივ ჩარევასა და შედეგებს იწვევს. რაც შესაბამისი სფეროს სწავლულებმა გააკეთეს, იყო ის, რომ შეეცადნენ თანასწორობის საკითხის იმ ზღვრამდე აწევას, რაც მის „კიდესის“ სფეროში მოხვედრას გამოიწვევდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახის არგუმენტაცია არც ყურანში და არც სუნაში არ გვხვდება.

„თანასწორობის“ იდეა თავდაყირა დადგა, წინააღმდეგობაში მოვიდა რა სამართლიანობისა და ეგალიტარიზმის უძველეს ისლამურ პრინციპებთან და ღირებულებებთან. მაშასადამე, აღ-ჰიდაბას ტექსტის შემდგომი მონაკვეთების საპასუხოდ უნდა ითქვას, რომ თუ ქალი ზრდასრულია და სურს ქორწინება, მიუხედავად ნათელი უთანასწორობისა, ცხადია, ეს სრულად მისი პრეროგატივა უნდა იყოს. პროფესიული თანასწორობა მკაცრი მოთხოვნა არ არის. ერთადერთი რამ, რაც არასასურველია ურთიერთობაში, დალაქების, მკერავების, მეტყავეების პროფესიების დამამცირებლად წარმოჩენაა. რეალურად, არ არსებობს არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ შუამავალი რაიმე ფორმით რომელიმე კონკრეტული პროფესიას აკინებდა, არამედ პირიქით, აღიარებდა და პატივს სცემდა პატიოსასან შრომას. რეალურად, მის უკანასკნელ ქადაგებაში შუამავალმა უარყო ყველა დისკრიმინაციული და უსამართლო გაგება, როდესაც თქვა:

მთელი კაცობრიობა ადამიდან და ევადან მოდის. არ არსებობს არავითარი უპირატესობა არაბებისა არაარაბებზე, ან არაარაბებისა არაბებზე, ან თეთრკანიანისა შავკანიანზე, ან შავკანიანისა თეთრკანიანზე, უპირატე-

სია მხოლოდ თაკვა (ლვთისმოსაობა) და კარგი საქმეების კეთება.

განსაცვიფრებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ფრაგ-
მენტი ალ-ჰიდადან, რომელიც სწორედ ამ საკითხს
ეხება, შემდეგი შესავალი შენიშვნით იწყება: „ქაფათ“,
რაც მისი ლიტერატურული მნიშვნელობით თანასწორო-
ბას ნიშნავს.²⁹ მიუხედავად ამისა, სამართლებრივმა ანა-
ლიზმა და მსჯელობამ თანასწორობის საკითხი უთანას-
წორობის მხარდაჭერისკენ შემოაბრუნა. იმან, რაც ქა-
ლებისა და მათი ოჯახების უფლებებისა და მდგომარეო-
ბის დასაცავად იყო შემუშავებული, მათი დაქვემდებუ-
რებული მდგომარეობა დაადასტურა. ის, თუ როგორ
ახერხებენ სწავლულები თანასწორობის საკითხის დაბა-
ლი სტატუსის შემცველ საკითხად ტრასფორმაციას,
„კიდასის“ უსაფუძვლო გაკეთილშობილებით აიხსნება.

ამ თავში კიდევ არაერთი საკითხის დეტალურ გან-
ხილვაა წარმოდგენილი, სადაც „კიდასის“ გამოყენება
სრულიად არასწორი აღმოჩნდა.

²⁹. C. Hamilton, (trans.), The Hedaya, 1989, p.110.

თავი მენქვსე
ისლამური ფიკე (სამართალი)
და უგულებელყოფილი ემპირიული საფუძველი

ჩვენ ბევრი სხვადასხვა შესატყვისი კითხვა უნდა დავსვათ იმ მიზეზებთან დაკავშირებით, თუ რატომ ხდება ისლამური საზოგადოებებისა და თემების აზროვნებაში ამდენი უსამართლობა და რატომ უარესდება ვითარება. ამ ეტაპზე ისლამური საზოგადოება ფაქტობრივად სრულიად უფუნქციოა და მას შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით, არ შესწევს პრობლემების დამოუკიდებლად მოგვარების ძალა, რომ არაფერი ვთქვათ განვითარებული სამყაროსთვის კონკურენციის განევის უნარზე. მაგალითად, რატომ არსებობს შეუსაბამობა და წინააღმდეგობა ისლამური პრინციპების დაცვით მოქმედ ისლამურ კანონებსა და არსებულ რეალობას შორის პრობლემების მოგვარებასა თუ სამართლიანობისა და წინასწორობის შენარჩუნებაში? რატომ გამოდის მრავალი მუსლიმი ქალი კლასიკური კანონების რიგი საკვანძო დებულებების წინააღმდეგ და რატომ იყენებენ სანაცვლოდ სეკულარულ ნორმებს? რატომ უწევთ ისლამურ საზოგადოებებს ფართოდ გავრცელებულ სიღარიბესთან, სიღატაკესთან, მოძველებულ განათლებასთან და ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობასთან თანაარსებობა?

ამ საკითხების გაგების მცდელობისას, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს ერთი ფაქტი, რომ ისლამური სამარ-

თალი, ფიკჰი, მოკლებულია სისტემატურ ემპირიულ სა-ფუძველს (ტერმინი ემპირიული ამ შემთხვევაში არ უნდა ავურიოთ ემპირიზმის ვიწრო გაგებასთან - მხოლოდ დაკვირვებასა და ცდაზე დაფუძნებული პრაქტიკასთან). ამ თავში დისკუსია ისლამური სამართლის საკვანძო ას-პექტს ეხება, კერძოდ, იმ ფაქტს, რომ ისლამური სამართალი და იურისპრუდენცია მოკლებულია შესაბამის ემპირიულ საფუძველს, „ემპირიულს“ ამ ტერმინის დღევანდელი გაგებით.

ტექსტზე ცენტრირება ან ტექსტზე ორიენტირებულობა არა მხოლოდ ისლამისა და მისი კანონების დინამიზმის დაკარგვაზეა უმეტესწილად პასუხისმგებელი, არამედ მან ისიც გამოიწვია, რომ არამუსლიმები, რომლებიც ისლამს შეისწავლიდნენ, მეტად დაუცველნი გახდნენ რწმენის არასწორად აღქმისა და მისი არასწორი ინტერპრეტაციის თვალსაზრისით. ტრადიციული ისლამი შემოკლებულ ლეგალისტურ ხასიათს ატარებს, რომელიც პირველხარისხოვან, მეორეხარისხოვან და მესამეხარისხოვან ტექსტებშია განკუთღილი და ძალიან ხშირად დაშორებულია ცხოვრების მწარე რეალობას. ისევე, როგორც ამ კონტექსტში, ფაქტობრივად არ არსებობს კვლევა ან ემპირიული ნაშრომი, რომელიც კანონის ფორმირებამდე ან მიღებამდე პრობლემის სრულად შეფასებაში დაგვეხმარებოდა. ასევე არ არსებობს კვლევა ან ემპირიული ნაშრომი, რომელიც ამ ფორმულირებებისა და მიღებული კანონების შედეგებისა და ეფექტების განსაზღვრისკენ იქნებოდა მიმართული.

მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ ტრადიციული მემკვიდრეობის სოციალური შედეგები. შარიათი განსაზღვრავს, რომ ოჯახის ცოცხლად დარჩენილ წევრებსა და ნათესავებს გარკვეული წილი ეკუთვნით, რომელიც ექსკლუზიურად ტექსტობრივ წყაროებზე დაყრდნობით განისაზღვრება. თუმცა, არ არსებობს თანამედროვე კვლევები, რომლებიც აღნიშნული კანონების ქალებზე გავლენას იკვლევს, ეს უკანასკნელნი კი საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად სეგმენტს წარმოადგენენ. მამაკაცებს მარტივად შეუძლიათ ოჯახური ურთიერთობებისგან და ვალდებულებებისგან თავის არიდება. ამასთანავე, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ქალები მოკლებული არიან ამ შესაძლებლობას. მიწნეულია, რომ ქალებს მუდმივად გრძნობენ ვინმესგან მხარდაჭერას - მამისგან, მეუღლისგან, ძმისგან, ვაჟიშვილისგან ან მთავრობისა და საზოგადოებისგან. თუმცა შეუძლებელია უამრავი ქალის გაჭირვებისა და მათი მოწყვლადობის ზუსტი შეფასება, განსაკუთრებით ღარიბი ქალების, შესაბამისი ემპირიული სოციალური კვლევების გარეშე, რომელიც მემკვიდრეობის შესახებ საკმაოდ მკაცრი კანონებისგან წარმოშობილი პრობლემის ბუნებასა და ფარგლებს შეისწავლის.

სპილოს ძვლის კოშკის მიდგომა ის არის, რომელიც მხოლოდ კანონების ფორმულირებასა და მიღებაზე ფოკუსირდება, ხოლო ყურანისა და სუნას პრინციპებს სრულად უგულებელყოფს, და ის შესაძლოა არაერთი ადამიანისთვის უბედურების მომტანი იყოს. აღნიშნული სფეროს კვალიფიციურმა სპეციალისტებმა უნდა შეის-

წავლონ, რა ხდება რეალურ ცხოვრებაში, რა შეიძლება შეემთხვათ რეალურ ადამიანებს, რათა ზუსტად განსაზღვრონ, რატომ არის მნიშვნელოვანი განსხვავება რეალობასა და კანონის უზენაეს მიზნებს შორის. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებენ ისინი არსებული პრობლემის მოგვარებას.

კიდევ ერთი მაგალითი ისლამური ეკონომიკისა და ფინანსების შესახებ პოლემიკას მოიცავს. რელიგიურ და სეკულარულ განათლებას შორის არსებული დიქოტომიის მიზეზით, ძალიან ცოტა მუსლიმი იურისტი და სწავლულია საჭიროებისამებრ ინფორმირებული თანამედროვე ეკონომიკისა და ფინანსების შესახებ. თუმცა, როგორც ჩანს, ცოდნის უკამრისობა ხელს არ უშლის მათ ფათვას (რელიგიური პერსპექტივიდან ამოსული სამართლებრივი მოსაზრებები) გამოცემას აღნიშნულ თემაზე. მიუხედავად იმისა, რომ ისლამური საბანკო საქმისა და ფინანსების მხარდამჭერთა ემპირიული კვლევები არსებობს, ამ მეცნიერების დამოკიდებულებასთან დაკავშირებით ორი ძირითადი პრობლემა უნდა გამოიყოს. პირველ რიგში, ისინი, როგორც წესი, არ აღიარებენ, რომ ისლამის ოთხ ძირითად წყაროს - ყურანს, ჰადისს, იჯმა'სა და კიდასს - მხოლოდ თეორიულად იყენებენ, რასაც სავარაუდო ცოდნამდე მივყავართ, შესაბამისად ნებისმიერ შემდეგ ფათვას არაფერი აქვს საერთო საღვთო მიწერილობასთან; ის მხოლოდ ყურანისა და სუნის შესახებ ინფორმირებული ადამიანური კონსტრუქციაა. მეორე პრობლემა ისაა, რომ იგივე ექსპერტები უარყოფენ ემპირიული კვლევების არსებობას, რომელიც

მათ მოსაზრებებს ეწინააღმდეგება. იქიდან გამომდინარე, რომ რელიგიური სამართალმცოდნები და სწავლულები არ არიან ინფორმირებული ემპირიული ნაშრომების მნიშვნელობისა და როლის შესახებ, ისინი მიდრეკილი არიან დაუსაბუთებელი ვარაუდების გაკეთებისკენ, უმეტესად ყოველგვარი კონკრეტული ემპირიული მტკიცებულების გარეშე.

ემპირიულად მნიშვნელოვანია, რომ თუკი როგორც მოგების, ასევე საპროცენტო შემოსავლები მდიდრებზე ნაწილდება, განსაკუთრებული აქცენტის პროცენტზე გაკეთება არასწორია. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ფართოდ გავრცელებული იდეა საჯარო ფინანსების შესახებ ისლამურ სახელმწიფოში მეტად გამარტივებულად არის დანახული. მაგალითად, იმის მოლოდინი, რომ მორწმუნები საკუთარ სკივრებს მთავრობის სურვილის-თანავე გახსნიან, არარეალისტურია. ზაქათის მთავრობის საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალებად განხილვა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნებისმიერ ისლამურ სახელმწიფოს ყველაფერი შეიძლება ეწოდოს, გარდა ისლამურისა, და როდესაც მნიშვნელოვანი აზრთა სხვადასხვაობა არსებობს იმის თაობაზე, ზაქათი ინდივიდუალურად უნდა იქნეს გადახდილი თუ ინსტიტუციონალიზებულ უნდა იქნეს - განსაკუთრებით სახელმწიფოს ჩართულობით, - არაგონივრული და არაპრაქტიკულია. ბანკებისგან იმის მოთხოვნას, რომ მათ მთავრობას უპროცენტო სესხები შესთავაზონ, არსებული საფინანსო ინტიტუტებიც კი შეეწინააღმდეგებიან და არასერიოზულად აღიქვამენ, ვინაიდან აღნიშნულის შე-

დეგად შესაძლოა მათი რეზერვების შემცირება მოხდეს, რაც ადამიანების მიერ მათი ნაღდი ფულის სრულად გატანის მცდელობით იქნება გამოწვეული, იმ შემთხვევაში, თუ ეს პოლიტიკა წარმატებით დაინერგება და განხორციელდება. უკანასკნელ საშუალებად, საჭიროების შემთხვევაში ვალუტისა და ბანკოტების ბეჭდვა კი, როდესაც სხვა ყველაფერი უცვლელი დარჩება, ეკონომიკური კატასტროფის უდავო წინაპირობაა. რეალურად, ბევრი იურისტი არა მხოლოდ საკუთარ სფეროში, ისლამურ ფიკჰშე, დაუდასტურებელი ფორმით წერისკენაა მიდრეკილი, არამედ სხვა სფეროებშიც (მაგალითად, ეკონომიკაში) სადაც მათ ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცონ სათანადო კომპეტენციის არსებობა, იგივე ვითარებაა.

ტექსტზე ორიენტირებული მიდგომისა და ცხოვრებისეული მიდგომის დაბალანსება ჩვენგან სოციალური რეალობის, პროცესებისა და ცვლილებების აზრიან გამოკვლევას, გაგებასა და სწორად განსაზღვრას მოითხოვს. მუსლიმებმა სწორად უნდა გამოიყენონ ემპირიული მეთოდები, თუმცა ამასთანავე არ უნდა მოექცენენ ემპირიზმის ხაფანგში - თეორია, რომლის თანახმად მთელი ცოდნის წყარო მგრძნობელობითი გამოცდილებაა. რეალურად, ბევრი მუსლიმისთვის ემპირიული მიდგომის აქტუალობის შეფასებისას ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას ემპირიზმის ვიწრო დასავლური გაგება (მხოლოდ გამოცდილებაზე ან დაკვირვებაზე დაყრდნობა) წარმოადგენს. ნებისმიერი პრობლემის გადაჭრის პირველი საფეხური მისი ბუნებისა და მოცულობის დეტალურად გააზრება და გაგებაა. ეს კი ინდუქციურ კვლევასა

და შესწავლას მოითხოვს. ამ კონტექსტში მუსლიმებს არა მხოლოდ შუამავლის სუნას სწორი გაგება მოეთხოვებათ, არამედ „სუნნათ ალლაჰ“-ისაც; ღმერთმა დააწესა ზოგიერთი ისეთი კანონი „სუნნათ ალლაჰ“, რომლებიც წარმართავს ყველა ბუნებრივ და სოციალური პროცესს, რომლებიც, ყურანის თანახმად, არ იცვლება.³⁰

ჯერჯერობით ჩვენ გამოვყავით ისლამური სამართლის სამი განმსაზღვრელი პირობა: (ა) რომ კანონის ფორმულირება სათავეს ისლამის ფუნდამენტური წყაროებიდან უნდა იღებდეს; (ბ) ის მომდინარეობს „მაკასიდსა“ და ისლამურ ღირებულებებზე განსაკუთრებულ აქცენტის გაკეთებიდან და (გ) რომ კანონების მიღება და ამოქმედება საზოგადოების მიერ „შურას“ მეშვეობით უნდა მოხდეს. ამ თავის მიზნებისთვის, ეს პირობები კიდევ უფრო დეტალურად უნდა იქნეს ჩაშლილი: კანონი ისლამურად მიიჩნევა, როდესაც შემდეგი სამივე პირობა სრულდება: (ა) კანონის ფორმულირება ისლამის ფუნდამენტურ წყაროებზეა დაფუძნებული; (ბ) ის მაკასიდსა და ისლამურ ღირებულებებზე აკეთებს განსაკუთრებულ აქცენტს და (გ) კანონების მიღება და ამოქმედება საზოგადოების მიერ „შურას“ მეშვეობით ხდება.

³⁰. M. O. Farooq, “Development Demystified: An Islamic Perspective,” paper presented at the First Conference of NAAMPS, April, 9-11, 1993, Chicago, Illinois.

თავი მეშვიდე

დასკვნა: ჩვენი რეფორმირების გზაზე

დღესდღეობით ისლამური სამყარო არაერთი გა-
მოწვევის წინაშე დგას. რიგი სახელმწიფოების მოსახლე-
ობა სასტიკ კონფლიქტშია ჩართული, რომელიც ნავ-
თობზე ძალაუფლების მოპოვების საერთაშორისო თამა-
შის ნაწილია. ისლამური სამყაროს სხვა ნაწილებში
მტრული ძალების ოკუპაცია და ეფექტური კონტროლი
ნარჩუნდება. განსაკუთრებით მწვავე პრობლემაა გაუ-
ნათლებლობა და სიღარიბე იმ სახელმწიფოებში, რომ-
ლებშიც მოსახლეობის უმეტესობა მუსლიმია. სხვა ადგი-
ლებში კვლავ გრძელდება სექტარიანული ძალადობა;
ზოგადად ქალებზე ფიზიკური ძალადობა საყოველთაო-
და გავრცელებული და ეს მხოლოდ მუსლიმებზე არ
ვრცელდება, ქალების „ლირსების სახელით“ მკვლელობა
კვლავაც ხდება; ისლამური სამყაროს შუაგულ ცენტრში
ქალებს კვლავ არ შეუძლიათ მანქანის მართვა და ეს აკ-
რძალვა ისლამის სახელით კეთდება. „პროგრესულ“ ის-
ლამურ სახელმწიფოებშიც კი მუსლიმმა მეუღლემ შესაძ-
ლოა სამგზის (შეუქცევადი განქორწინება) შეტყობინება
მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით მიიღოს ტელე-
ფონში. დასავლეთში ბევრი მეჩეთია, სადაც მუსლიმი ქა-
ლების შესვლას არ მიესალმებიან.

მრავალი ისეთი საკითხი წამოიჭრება, რომლებიც ჩამოყალიბებულ სოციო-კულტურულ და პოლიტიკურ გარემოს ეხება. თუმცა, ისლამური გონი და არსებული კულტურა მათი ღრმად ფესვგადგმული ტრადიციული რელიგიური აღქმისა და მისადმი ერთგულების მიზეზით უფუნქციო და უმოქმედო ვითარებაში მოექცა, რაც მხარდაჭერისა და მტკიცებისათვის ტექსტობრივ წყარო-ებთან მცდარი გზით შემობრუნებისა და ჰადისების, ზოგჯერ სადაც ჰადისების, არასწორი გამოყენების შე-დეგად გახდა შესაძლებელი.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ შარიათი, როგორც მისი გამოყენება ჩვეულებრივ ხდება, მეტად დამაბნეველი ტერმინია, ვინაიდან მას ბევრ უცხო, არა-შესატყვის ატრიბუტს მიაწერენ, როგორიცაა ღვთაებრივი ბუნება, სიწმინდე და უცვლელობა. საზოგადოება ზარალდება ლეგალიზმისგან, როდესაც რედუქციული მე-თოდით შარიათს ისლამურ სამართალს უთანაბრებენ. სულისგან, მიზნებისგან (მაკასიდ) და ისლამის ნორმა-ტიული პრინციპებისგან დაშორება არა მხოლოდ სოცია-ლური დინამიზმის დაკარგვას იწვევს, არამედ ბუკვალუ-რი და აბსოლუტისტური ინტერპრეტაციით მძიმე ტვირ-თად აწევს მასების ცხოვრებას. მეორე რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ყურანი კაცობრიობის ისტორიის მან-ძილზე ღვთისგან ზეგარდმოვლენილი ყველა ტექსტის კულმინაციაა. მას ისლამში ცენტრალური და უკონკუ-რენტო პოზიცია უჭირავს. თავად შუამავალსაც კი არ შეეძლო მასთან შენინააღმდეგება. შესაბამისად, დოქ-ტრინის, კანონის ან კოდექსის მხარდასაჭერად ან გასამ-

ყარებლად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არაფერი, რაც უარყოფს ყურანს - ეს არსებითი ელემენტია, რომელიც ყველა მუსლიმის მიერაა გაცნობიერებული, თუმცა, როგორც წესი, პრაქტიკაში მისი უგულებელყოფა ხდება.

მესამე, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შუამავლის მემკვიდრეობა, სუნა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მუსლიმებისთვის და ისლამური ცხოვრების წესისთვის. შუამავალი ყურანში სამაგალითო მოდელად არის მიჩნეული. თუმცა, როგორც მესამე თავშია ნაჩვენები, ჰადისების შესახებ ტრადიციული შეხედულება დაუსაბუთებლად აზვიადებს ამ წყაროს მნიშვნელობას მისი ყურანთან გათანაბრებით, როდესაც მასთან მიმართებით ღვთაებრიობის გარკვეული ელემენტების არსებობას ამტკიცებს. მეოთხე, „იჯმა‘ზე“ გავრცელებული მოსაზრებები დაუსაბუთებელი და გაზვიადებულია. „იჯმა‘“ არ არსებობს არა მხოლოდ ამ ტერმინის განმარტებასთან დაკავშირებით, არამედ რთულად მოიძებნება „იჯმა‘ს“ რომელიმე ასპექტი, რომლის თაობაზეც კონსენსუსი არსებობს. არაერთი სამართლებრივი გადაწყვეტილება, რომელთან მიმართებითაც „იჯმა‘“ს არსებობა ივარაუდება, უნიკალურ სოციო-ისტორიულ კონტექსტს ასახავს, რომელიც შუამავლისა და მისი კომპანიონების ეპოქიდან მომდინარეობს, მიუხედავად იმისა, რომ სამართლის ნებისმიერი ასპექტის რიგი დეტალები შესაძლოა სულაც არ იყოს გამოყენებული.

მეხუთე, „კიდასი“ ისლამური იურისპრუდენციის ბოროტად გამოყენების კიდევ ერთ ინსტრუმენტად იქცა.

არცერთი კანონი, რომელიც ანალოგიებით დედუქციი-დან გამომდინარეობს, არ შეიძლება აღქმულ იქნეს ღვთაებრივად, შესაბამისად არც მუსლიმებს შეიძლება მოეთხოვოთ მისადმი, როგორც წმინდასადმი, მიდგომა. ისლამური სამართლის კორპუსს არ აქვს ემპირიული საფუძველი და კვლევის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დანიშნულება, რომელიც როგორც კანონის ფორმირების, ასევე მიღების პროცესამდე და მას შემდეგ პრობლემების გაგებისა და გაანალიზებისთვის საჭირო საკითხებს ეხება.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ კანონი შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ისლამურად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შემდეგი სამივე პირობა დაკმაყოფილებულ იქნება: (ა) კანონის ფორმულირება სათავეს ისლამის ფუნდამენტური წყაროებისგან უნდა იღებდეს ცხოვრებისეულ, ემპირიულ მიდგომაზე დაყრდნობით, სადაც მოვალეობრივი მზრუნველობა მკაფირად არის დაცული; (ბ) კანონები შემუშავებულია მაკანიდისა და ისლამური ღირებულებების მხედველობაში მიღებით და (გ) საზოგადოების მიერ კანონების მიღება და ამოქმედება შურას მეშვეობით ხდება.

კონსტრუქციული ტრანსფორმაციისკენ სწრაფვა დინამიური და ამაღლვებელი გამოწვევაა. ამ ცხოვრებასა და სიკვდილის შემდეგ ცხოვრებაში წარმატებისკენ სწრაფვის პროცესში ისლამი ყველას პოზიტიური ცვლილების მუდმივი ძიებისკენ მოუწოდებს - ცვლილება, რომელიც თავად ინდივიდს ეხმარება გაუმჯობესებაში ყვე-

ლა დონეზე და პოზიტიურ გავლენას ახდენს სხვების ცხოვრებაზე. რა თქმა უნდა, ცვლილება იწყება სახლში; პირველ რიგში, ჩვენში. ისინი, ვინც აფასებენ და ეძებენ ცვლილებას პროაქტიური სახით - არა რეაქციონერულად (როგორც ახლა ხდება) - არა მხოლოდ საკუთარი თავის შეცვლას შეძლებენ, არამედ პროცესში სხვების ცვლილებებზეც იქონიებენ გავლენას.

ავტორი:

მუჰამმად ომარ ფარუკი საბანკო ფინანსების ბაჟ-რეინის ინსტიტუტის ისლამური ფინანსური ცენტრის ხელმძღვანელია, მის ინტერესები მოიცავს ისლამურ ეკონომიკას/საბანკო სფეროს/ფინანსებს, ისლამურ სამართალსა და იურისპრუდენციას და ისლამურ პოლიტიკურ ეკონომიკას.



გამომცემლობა „უნივერსალი”

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ტ: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის ძირითადი პუბლიკაციების ღირებული კოლექციას, რომელიც შემკლებული ფორმითა არის დაწერილი, რათა მყითველს სრული ვერსიის შინაარსის შესახებ ძირითადი წარმოდგენა შეუქმნას.

ჩვენი რეფორმირების გზაზე ამტკიცებს, რომ მუსლიმთა სირთულეების მთავარ მიზეზს მათი უძრეცება, ან/და არაბითი ისლამური ღორებულებების მიმართ ვალდებულების გათავისებისა და მკუთხმულადბობის არარსებობა წარმოადგენს. შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომი აქტივობად უწვეს რეკომენდაციას, ე.წ. „თორებულებებშე ორიენტირებული“ მიღების გამოყენებას. გარდა ამისა, ჩვენ ვივებთ, რომ ისლამური კანონები რეალურად მთავარ საყრდენს წარმოადგენს, რომელიც დროთა განმავლობაში მეცნიერული შეზღულებებისა და ვარაუდების (დასკვნების) ლაბირინთულ სუდარაში გაეხვა, რამაც დაარყელა მუსლიმთა გნოვთარება, ასევე ვივებთ, რომ საჯეო ჰაიტსე დაყრდნობითა და „ჟედულის“ სამრთლის მდგარი იმპლემენტაციით არა მთლილ ყურანისა და მუპაბად შუამავლის (ს.ა.ხ) გზანილის მთავარ არს ვდალატობთ, არამედ ეს კატასტროფული პრაქტიკა, რომლის შედეგებიც ფსევდო-შარიათის დაწერვის საფარქვებ, მუსლიმი მოსახლეობის აპარა შეურაცხყოფა, სწორედ ეს შეურაცხყოფა და არასწორი გამოყენებაა განხილული

შავ აძლულ ჰანნანი, ისლამური ბანკის ყოფილი თავმჯდომარე, ბანგლადეში;, ბანგლადეშის ბანკის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე.

ბრწყინვალე წარმომი ისლამური სამართლის მთავარ წარმოებზე, ყურანზე, სუნაზე, იჯმასა და კიასზე, აქტიორთა არაერთი არასასურველი და პროდლემური საყითხი განიხილა, რომელიც აღნიშნულ წყაროებს, მათ მნიშვნელობებს, გამოყენებასა და ინტერპრეტაციას ეხება. მან ხაზი გაუსა სამართლმა არსებულ სტანდარტსა და ბუკალიზმს წარსული და საზგანმიზო აღმნიშა, ისლამური სამართლის სამომავლო განვითარებისთვის ღირებულებებზე როინტირებული მიმდგრაბის მნიშვნელობა.

დოკუმენტი მოპარმად იუსუფ სიდდეკი, ისტორიის & ისლამური ცივილიზაციის დევარტამენტი, შარჯასუნივერსიტეტი, არაბთა გერთიანებული საემიროები

დახვეწილი და ყოვლისმომცველი ანალიტიკური კვლევითი სამუშაო, რომელმაც თანამედროვე ისლამური სამყაროო სამართლერივი დღემის შესახებ საბოლოოდ რამდენიმე მნიშვნელოვან და სარწმუნო დასკვნამდე მიგვიყანა.

პროფესიონალი ჩარლზ ე. ბათერვორფი, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის პროფესიონალური უწევების, მერილენდის უნივერსიტეტი, აშშ

წართლი გამოხატვის ფორმითა და აზრითი არგვებულებით, [ავტორი] მეოთხველს [იმ საკითხებისკენ] მიეცევაბა, რომელიც დღესდღობით რწმენასთან და მის ძირითად ელემენტებით მშენდოდა დაკავშირებული, ხოლო შემდეგ ამ საკითხების ეცექტური გადაჭირების გზებს გვთვაზონოს. უფრო მეტიც, ის დასაუთისულად წარმოაჩენს, თუ როგორ შემდებარება წარმოიშოთ ძველი ავტორიტეტული წყაროები დღევანდული პრიბლემების გათვალისწინებით. მართობა, მისი მთავარი მიზანია, ნათლად წარმოაჩინოს, თუ რამდენად ეფექტურად პასუხობს ისლამი ამ ეპოქის გამოწვევებსა და ინოვაციებს, საკუთარი ხიბლის დაკარგვისგარემ.

დოკუმენტი მ. 5. სიდდეკი, პროფესიონალური უწევების, ბიზნეს ადმინისტრირების დეპარტამენტი, ალიგარის ისლამური უნივერსიტეტი, ინდოეთი

ზოგადი თავის წარმომადგენლა მტკიცებულია. თუმცა, ეს ის არის, რაც რეალურად ხდება. ავტორი მხოლოდ საკუპრი გვახედებს. კრიზისი, რომლის წინაშეც ვდგავართ დღეს, მაყასიდ ას-ბარი'სა უგულებელყოფს და მხოლოდ ფიცის კანონებს ეყრდნობა, რომელიც ასობით წლის წინ იქნა მიღებული განსხვავებულ სოციალურ გარემოში. განახლება კი, რომელსაც ნამდვილად საჭიროებს, აგვიანებს.

